კომპლექტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური & თბილისის კომიტეტის და ხრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

— ინგლისი გადავიდა ოქროს ვალიუტაზე.

— მაროკკოში აჯანყებულ მცხოვრებლებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის ბრძოლა გრძელდება.

— იტალიასა და ეგვიპტეს შორის დამოკიდებულება გართულდა.

— პარიზში ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა.

— ჰოლანდიაში მოსალოდნელია დიდი გაფიცვა.

— ბელგიაში შესაძლებლათ სთვლიან პარლამენტის დათხოვნას.

პარასკევი, 8 მაისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 103 (1258)

დავიცავთ ჩვენს კორესპონდენტებს

ჩვენ მივაქცევთ მკითხველის და სათანადო ორგანოების ყურადღებას ს. ნოსირიდან (სენაკის მაზრა) გამოგზავნილ კორესპონდენციაზე, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში. ს. ნოსირს მოევლინებია თავისებური „ტარიელ მკლავაძე“ ვიღაც იასონ კილასონია, რომელსაც „ხელობად“ გაუხდია გლეხების დაბეჩავება, მათი ცემა-ტყეპა. რაღაც მანქანებით იგი სასროლ იარაღსაც ატარებს თავისუფლად. აი, ამ ახალი დროის „მკლავაძის“ წინაალმდეგ ხმა ამოუღია სოფლელ კორესპონდენტს და გაზეთებში სათანადო შენიშვნა მოუთავსებია. „რაინდი“ კილასონია აბა როგორ მოითმენდა „ვიღაც“ კორესპონდენტის ასეთ თავხედობას! იგი შეუდგა სოფელში „კვლევა-ძიებას“, თუ ვინ გამომზეურა გაზეთის ფურცლებზე მისი „საქმენი საქმირონი“ (კორესპონდენცია პსევდონიმით იყო ხელმოწერილი), ბოლოს ეჭვი მიუტანია ორ მოქალაქეზე, რომელნიც თანამშრომლობენ პრესაში. ერთ „მშვენიერ დღეს“ რევოლვერით ხელში მივარდნია მათ ოჯახს. ნიშანში ამოღებული პირები შინ არ დახვედრია, ხოლო მათი დედისათვის დაუწყია მუქარა: „დუელში“ უნდა გამოვიწვიო შენი შვილები, მათ ვაჩვენებ სეირს, ისინი ცოცხლები არ გადამირჩებიანო.

ასე მოგვითხრობს კორესპონდენტი.

რუსეთში კორესპონდენტების დევნას მასიური ხასიათი აქვს მიღებული. ხშირად მათ ფიზიკურად უსწორდებიან, სცემენ, „წუთისოფელსაც“ ასალმებენ, რო არ ვილაპარაკოთ უფრო მსუბუქ „სასჯელზე“. გავიხსენოთ თუ გინდ მუშკორ სპირიდონოვის, გლეხკორების მალინოვსკის, გრიგორიევის და სხვათა საქმე. პირველი ორი მოკლულ იქნა, მესამე არაჩვეულებრივად აწამეს.

ამიერ-კავკასიაშიც (სომხეთში) ჰქონდა ადგილი კორესპონდენტის მკვლელობას. საქართველოში ჯერ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყოს. ბრძოლა კორესპონდენტების წინაალმდეგ ჩვენშიც სწარმოებს. კორესპონდენტის სამსახურიდან დათხოვნის და თავიდან მოშორების ცდები (თუ ის მსახურობს) ათასგვარი საბაბით, მისი პიროვნებისათვის ჩრდილის მიყენების განზრახვა, რათა მის კორესპონდენციას დაუკარგოს დამაჯერებელი ძალა და ბრძოლის სხვა „მეთოდებიც“ ჩვენშიც პრაქტიკაშია შესული. ამის დამამტკიცებელი ფაქტები თავის დროზე ბევრი იყო გამოქვეყნებული გაზეთებში. დღეს კი მკითხველი გაეცნობა კორესპონდენტისათვის იარაღით ხელში დამუქრების ფაქტს. მოქ. კილასონიას უკისრია „საპატიო როლი“ კორესპონდენტისათვის „დამაჯერებელი“ საშუალებით „ჭკუის სწავლებისა“, და იგი რევოლვერით ხელში დაეძებს იმ კორესპონდენტს, რომელმაც მისი უმსგავსო მოქმედება საჯაროდ ამხილა.

სად უნდა ვეძიოთ მიზეზი კორესპონდენტის ასეთი ათვალწინების რატომ იდევნება იგი? მეტად რთული და საპასუხისმგებლოა კორესპონდენტის მოვალეობა. იგი მშრომელთა საზოგადოებრივი აზრის გამომხატველია. ის მოწოდებულია ამცნოს ქვეყანას პრესის საშუალებით არა მარტო ჩვენი მუშაობის დადებითი მხარეები, არამედ ნაკლულევანებანიც. კერძოდ მას ეკისრება დაუნდობელი ბრძოლა ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებასთან, უკანონობასთან, თვითნებობასთან. კორესპონდენტი ხელს უწყობს საბჭოთა კანონიერების განმტკიცებას. და აი, ამისთვის მის წინაალმდეგ ამხედრებული არიან საზოგადოების ბნელი ძალები.

კერძოდ სოფლის კორესპონდენტი ჩაყარდნილია მძიმე მდგომარეობაში. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სწორედ სოფლის კორესპონდენტები განიცდიან განსაკუთრებულ დევნას. სოფლად საბჭოთა აპარატი ჯერ კიდევ არ არის რიგიანად მოწყობილი. აქა-იქ კიდევ აქვთ თავი შეფარებული საეჭვო ელემენტებს. ასევეა სოფლის მრავალ სხვა ორგანიზაციებშიც. ჩვენ კიდევ ვერ მოვასწარით იქიდან ყველა ასეთების გამოცოცხვა. აი, ამ ბნელ პირებს ყველაზე უფრო ეშინიათ მათი „მოღვაწეობის“ საჯარო მხილების, პრესაში გამოაშკარავების. კორესპონდენტი კი, რომელიც წარმოადგენს გაზეთის „თვალსა და ყურს“ სოფლად, არაფერი სასიამოვნოა მათთვის, მიტომ რომ გაზეთში მის მიერ მოთავსებულ მამხილებელ მასალის წყალობით ბოროტმომქმედი ელემენტები სულ ადვილად შეიძლება საბრალმდებლო სკამზე იქნან წამოსკუპებულნი.

ამასთან სოფლად მიმდინარეობს საკმაოდ მწვავე კლასობრივი ბრძოლა „კულაკებსა“ და მშრომელ გლეხობას შორის. პირველნი ცდილობენ ყოველგვარი საშუალების გამოყენებას, რათა გაბატონდენ როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურადაც. ამ მიზნით ისინი, სხვათაშორის ცდილობენ სოფლის ხელისუფლების წარმომადგენლებთან „დამეგობრებას“, მათ თავის გავლენის ქვეშ მოქცევას. ამ კლასობრივ ბრძოლაში, სოფლის „კულაკებისათვის“ ლაგამის ამოდებაში დიდია მნიშვნელობა სოფლელ კორესპონდენტის. ამიტომ მის წინაალმდეგ ასე სასტიკად ილაშქრებენ სოფლის „კულაკები“ და ყველა ჯურის კომბინატორები და არამზადები.

მაგრამ ამაოდ! საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს იღებს კორესპონდენტების ხელუხლებლობის დასაცავად, მათი წერის სრული თავისუფლების უზრუნველსაყოფად. იგი სასტიკად სჯის ყველა იმათ, ვინც ამა თუ იმ სახით შეეცდება კორესპონდენტის გაბედული და მართალი სიტყვის ჩახშობას.

თავის მხრივ მშრომელი გლეხობა, რომლის აქტივობა და თვითმოქმედება საკმაოდ გაიზარდა, ფხიზლად დგას საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე და მედგრად ებრძვის ყოველგვარ ბოროტმოქმედებას, საბჭოთა წყობილების შინაარსის გადამახინჯებას.

კორესპონდენტები უნდა იყონ სავსებით დამშვიდებულნი. მათ მეტი ენერგიით, უფრო მეტი გაბედულობით უნდა განაგრძონ თავისი საქმე, კერძოდ ყოველი შემჩნეული უკანონობის და თვითნებობის მხილება. ბ. კილასონიებს კი მუშურ-გლეხური მთავრობა თავის ადგილს მიუჩენს.

ჩვენი ეკონომიური ამოცანები

III

მეურნეობის სხვადასხვა დარგის დახასიათება

ა

ჩვენს მეურნეობაში დღეს პირველი ადგილი უდავოთ **პურეულობას** ეკუთვნის. ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი დესეტინა ითესებოდა ომამდე და ითესება დღეს პურეულობით, დაახლოვებითია. მთავარი ოფიციალური წყაროებით სასურსათო პურეულობის ნათესობის სივრცე 1909—1913 წლებში უდრიდა 710 ათას დესეტინას. სხვა კულტურულ ქვეყნების მოსავალთან შედარებით საქართველოში დესეტინაზე ძალიან ცოტა მოდის. მიუხედავათ მრავალი დადებითი პირობებისა, საქართველოში დესეტინაზე მოდის: ხორბლეულობა—51 ფუთი და სიმინდი 82 ფუთი მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში უდრის: პირველის მოსავალი 82—164 ფუთს და მეორესი 106—120 ფუთს.

საქართველოსმოსახლეობის (1923 წ.—2457 ათასი სული) ნორმალურ საკვებად საჭიროა 46,7 მილ. ფუთი (სულზე 19 ფუთი), სათესლედ—5,3 მილ. ფ. და პირუტყვისათვის—2 მილ. ფუთი, სულ 54 მილ. ფუთი, საშუალო წლიური მოსავალი კი 1913 წელს 710 დესეტინაზე უდრიდა 49 მილ. ფუთს. მაშინდელი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით წლიურად საჭირო იყო არა უმეტეს 52,9 მილ. ფუთისა. ამნაირად უცხოეთიდან უნდა შემოეტანათ მაშინ საქართველოში ოთხი მილ. ფუთი ხორბალი. პურეულობის ნათესების სივრცე 1924 წელს უდრიდა მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობით 546 ათას დესეტინას და სახ. კომ. საბჭოს ცნობებით (1924 წ. მოქმედების მოკლე ანგარიში, გვ. 47)—629 ათას დესეტინას. რამდენადაც სხვადასხვა მასალებიდან სჩანს, უკანასკნელი ციფრი ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს უნდა იყოს. 629 ათასი დესეტინა ასე ნაწილდება: ხორბლეულობა—242 ათასი დესეტ.—12,1 მილ. ფუთი (დესეტ—50 ფ.) და სიმინდი—387 ათასი დესეტ.—30,9 მილ. ფ., სულ პურეულობა—48 მილ. ფუთი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მოსახლეობა დღეს ნორმალურად არ იკვებება, მაშინ საქართველოს სჭირდება დაახლოვებით: გამოსაკვებათ 40 მილიონი ფუთი, სათესლეთ—5 მილიონი ფუთი და პირუტყვისათვის 2 მილიონი ფუთი, სულ 47 მილ. ფუთი. დეფიციტი უდრის 4 მილ. ფუთს. ამ დეფიციტის დასაფარავად საკმარისია დაითესოს პურეულობით იმდენი დესეტინა, რამდენიც იყო დათესილი 1913 წელს. ამ წელს იყო დათესილი: ხორბლეულობით 361 ათასი დესეტინა მოსავალი უდრიდა—18 მილ. ფუთს, სიმინდით—350 ათასი დეს. და მოსავალი იყო—28 მილ. ფუთი, სულ 46 მილ. ფუთი. ამ შემთხვევაში დეფიციტი იქნება დაახლოვებით ერთი მილ. ფუთი. მაგრამ თუ გამოკვების სრულ ნორმას ავიღებთ, მაშინ დეფიციტი გაცილებით მეტი იქნება, დაახლოვებით—8 მილ. ფუთი. ასეთი დეფიციტის დასაფარავად საჭიროა დაითესოს 710 ათასი დესეტინის მაგიერ არა ნაკლებ 840 ათასი დესეტინა ანუ გაუმჯობესდეს მიწის დამუშავების ტეხნიკა.

ასეთ მდგომარეობაშია პურეულობის საკითხი საქართველოში.

ბ.

პურეულობის შემდეგ თავის ღირებულებით პირველი ადგილი საქართველოში **თამბაქოს** უკავია; ჩვენს მეთამბაქოობას ამიერ-კავკასიაში მეტოქე არა ჰყავს. 1910 წ. მთელს ამიერ-კავკასიაში თამბაქოს პროდუქცია 710,3 ათას ფუთს უდრიდა, აქედან 662 ათასი ფ. საქართველოში მოდიოდა (93,2 პროც.); ამ რაოდენობიდან უმაღლესი ხარისხის თამბაქოს მოსავალი იყო ამიერ-კავკასიაში 682,8 ათას ფ. და აქედან 661 ათასი ფ. (96,8 პროც.) მოდის საქართველოზე. 1914 წ. მთელ ამიერ-კავკასიაში თამბაქოს მოსავალი იყო 858 ათასი ფ. და აქედან საქართველოში—802 ათასი ფუთი (93,4 პროც.). მიწადმოქმედების კომისარიატის გამოანგარიშებით 1909—1913 წლებში თამბაქოს საშუალო წლიური მოსავალის ღირებულება მაშინ, როდესაც ეს მოსავალი იყო 569 ათასი ფუთი, უდრიდა 20 მილ. მან., 1914 წელს კი მოსავალი იყო 802 ათასი ფუთი, ღირებულებით 28 მილ. მან.

დღეს ჩვენი მეურნეობის ეს დიდი დარგი დაქვეითებულია და კრიზისს განიცდის. მიუხედავათ დიდი ყურადღებისა, რომელსაც მთავრობა და კოოპერაცია აქცევენ ამ დარგს, მეთამბაქოობა ჯერ კიდევ წინ ვერ მიდის, რასაც ამტკიცებს შემდეგი ცხრილი:

	დათესილი იყო დესეტ.	მოსავალი ფუთი.	საშუალო მოს. დესეტინ. ფუთ.
1921	1000	50.000	50
1922	2210	114.000	52
1923	5100	350.000	70
1924	4020	158.000	40

1924 წელს მეთამბაქოობა ძალიან დაეცა და დესეტინაზედაც მოსავალი შემცირდა და ეს მოხდა სწორედ აფხაზეთში, სადაც მოდის საუკეთესო თამბაქოს თითქმის მთელი რაოდენობა. გასულ წელს თამბაქოს მოსავალის ღირებულება ძლივს აღემატებოდა 5 მილ. მან. ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი, რომელმაც გამოიწვია ასეთი კრიზისი, არის აფხაზეთიდან ბერძენ-მეთამბაქოების საბერძნეთში გადასახლება და არა სალი სავაჭრო პირობები. მთავრობა თავის „ანგარიშში“ აღნიშნავს, რომ „თამბაქოს წარმოება წინა წელთან შედარებით 68,9 პრ. არის შემცირებული, ხოლო პაპიროსის წარმოება 10,3 პროც. არის გადიდებული“. თამბაქოს მრეწველობის დაცემას მთავრობა ასე ხსნის: „თამბაქოს წარმოების შემცირება გამოწვეულია თამბაქოს დიდი აქციზით, რის გამო ეს წარმოება არა-ხელსაყრელი გახდა“. 1924 წ. ომის წინადროინდელ ფასებით პროდუქციის საერთო ღირებულება უდრიდა 1,8 მილ. მან. და 21,1 პროც. ნაკლები იყო წინაწლის პროდუქციაზე (2,265 ათასი მან.)*) ასეთ პირობებშია დღეს საქართველოს მეურნეობის ეს უდიდესი დარგი

გ.

მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში არის მეურნეობის ერთი უძველესი და ფრიად მნიშვნელოვანი დარგი. ჩვენს ქვეყანაში 100 ათასი კომლამდე ეწევა მეღვინეობას. 1896—1900 წ. მევენახეობას ეკავა 62 ათას დესეტინაზე მეტი, მაგრამ მაშინ ღვინის საშუალო მოსავალი დესეტინაზე 80 ვედროს არ აღემატებოდა და საერთო მოსავალი უდრიდა დაახლოვებით 5 მილიონ ვედროს.

ამ დროიდან მევენახეობის სივრცე თანდათან მცირდება, მაგრამ ამავე დროს დესეტინაზე მოსავალი დიდის სისწრაფით მატულობს; და 1906—1910 წ. ვენახებს უკავია 46,3 ათასი დესეტინა, დესეტინაზე მოსავალი უდრის 180 ვედროს და საერთო მოსავალი 8,3 მილ. ვედროს; 1913 წ. საერთო მოსავალი უდრიდა 10 მილ. ვედროს და 1914 წ.—8 მილ. ვედროს. ამის შემდეგ მცირდება როგორც მევენახეობისაგან დაკავებული მიწის სივრცე, ისე დესეტინაზე მოსავალი და 1923 წ. ვენახებს უკავია სულ 30,6 ათასი დესეტინა, დესეტინაზე მოდის 150 ვედრო და საერთო მოსავალი უდრის, 4,6 მილიონ ვედრას. 1924 წელს ვენახების საერთო სივრცე დავიდა 30 ათას დესეტინამდე, მაგრამ დესეტინაზე მოსავალი ავიდა 170 ვედრომდე და საერთო მოსავალი უდრიდა 5,5 მილ. ვედროს.

მთავრობა და კოოპერაცია შეძლებისდაგვარად ენერგიულ ზომებს ღებულობენ ფილოქსერასთან საბრძოლველად, მაგრამ საშინელი ავადმყოფობა მძვინვარებს. ერთი ყურადღების ღირსი წყარო ამბობს კახეთის შესახებ: „ვენახების დაღუპვის პროცესი ისეთი სისწრაფით მიდის, რომ ა. კ. მიწად-მოქმედების კომისართა ყრილობის აზრით 6—8 წლის შემდეგ ამ რაიონში შეიძლება სრულიად მოისპოს ვენახები“ (ეკ. ვესტ. ზაკავ. № 1, გვ. 67). კახეთში 20 ათასი დესეტინა ვენახებისა დღეს უკვე განწირულია.

ღვინო იყო და უნდა დარჩეს საქართველოში დიდათ მნიშვნელოვან საექსპორტო საქონლად. დაახლოვებით ერთი მესამედი, 30 პროც., მოსავლისა ომამდე გაჰქონდათ საზღვარ-გარედ, 40 პროც. იყიდებოდა შინა-ბაზარზე და 30 პროც. იხარჯებოდა ადგილობრივ, სადაც ღვინო მზადდებოდა. ომამდე საქართველოს საზღვრებიდან გადიოდა 2,5 მილ. ვედრომდე, დღეს, რასაკვირველია, ბევრად ნაკლები გადის.

მევენახეობა-მეღვინეობის საკითხი ჩვენს ცხოვრებაში დღეს უდიდესი ეკონომიური საკითხია.

დ. თოფურიძე.

---

*) იხ. მთავრობის 1924 წ. მოქმედების მოკლე ანგარიში. გვ. 103.

საგლეხო სესხის განმეორებით გამოშვების გამო

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 7 მაისი. „პრავდა“ ათავსებს წერილს „საგლეხო სესხის განმეორებითი რეალიზაციისათვის“, რომელშიაც სწერს:

„ჩვენი უკანასკნელი სესხის განსაკუთრებულმა წარმატებამ დაგვანახვა, რომ ქვეყნის შიგნით მოიპოვება ერთგვარი თავისუფალი თანხები და რომ ამ თანხების მეპატრონეები სიამოვნებით აძლევენ მას სახელმწიფოს სესხის სახით, თუ კი ამ სესხის გამოშვების პირობები აკმაყოფილებენ ფულის ბაზრის რეალურ მოთხოვნილებებს. ეს სესხი ამტკიცებს, აგრეთვე, რომ მცხოვრებთა ფართო ფენები ნდობით ეპყრობიან მთავრობის საკრედიტო ოპერაციებს.

ეს წარმატება ფართო პერსპექტივებს შლის შინაურ სახელმწიფო კრედიტის მომავალი განვითარებისათვის. მაგრამ საკრედიტო ოპერაციების წარმატება უზრუნველყოფილ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ოპერაციები მიმართული იქნება გლეხთა ნაწარმოების გასაღებისაკენ. სოფელში სახელმწიფო კრედიტის განსამტკიცებლად ამ ჟამად არსებობს ბევრი საჭირო წინასწარი პირობები, რომელნიც გამომდინარეობენ ჩვენი პოლიტიკიდან სოფლის მიმართ. ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“ გულისხმობს აგრეთვე სოფელში გლეხობისათვის ხელსაყრელ და მისი სამეურნეო მშენებლობისათვის აუცილებელ სახელმწიფო სესხის გავრცელებას.

ჩვენი გლეხობა შეადგენს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ხუთ მეექვსედს და იგი გვაძლევს მთელი სახალხო შემოსავლის ორ მესამედზე მეტს. გლეხობამ უკვე შეითვისა უფლება ისარგებლოს ფასიანი ქაღალდებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესატანად, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ბედავს ნორმალური ტიპის სესხის ობლიგაციების შეძენას, თუ მას დაპირებული არ აქვს, რომ ამ ობლიგაციებს მიიღებენ გადასახადების შეტანის დროს. ამოცანა გადაიჭრება მაშინ, როდესაც სოფლის მცხოვრებნი შეეჩვევიან თავისუფალი თანხების გადაქცევას ფასიან ქაღალდებათ. ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელს შეუწყობენ ჩვენი საგლეხო სესხები, რომელსაც საფუძვლად უდევს სახაზო უზრუნველყოფა, რომლის მნიშვნელობა მომავალში თანდათან უნდა შემცირდეს და უნდა გაძლიერდეს ფასიანი ქაღალდის სარგებლიანობა.

ამ ამოცანასთან დაკავშირებით გლეხთა სესხის რეალიზაცია წელს ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ობლიგაციების დაახლოვებას სოფელთან. ამ მიზნით წელს მოეწყო კონტრაგენტების ფართო ქსელი სოფლის აქტივის, მოწინავე გლეხების, კულტურულ დარგში მომუშავეთა, სასოფლო საბჭოების და სათემო აღმასკომების წევრთა წრიდან. ეს კონტრაგენტები გაჰყიდიან ობლიგაციებს სოფელში, რადგან თვითონ არიან დაინტერესებულნი სესხის რეალიზაციით.

ამგვარად გლეხს კი არ მოუხდება ობლიგაციების ძებნა, არამედ სესხის ობლიგაციები მოსძებნიან გლეხს“.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობებით)

საბჭოთა კავშირი და იაპონია

ჟურნალისტები ამხ. კოპპთან

ტოკიო, 6 მაისი. საბჭოთა ელჩმა იაპონიაში კოპპმა მიიღო 5 მაისს იაპონიის და უცხოეთის პრესის 40 წარმომადგენელი. თავის სიტყვაში კოპპმა აღნიშნა, რომ პრესის როლი დიდათ საპასუხისმგებლოა ორივე ქვეყნების შორის მეგობრულ ურთიერთობის დამყარების საქმეში და ამიტომ საჭიროა, რათა პრესა იღებდეს ცნობებს საბჭოთა კავშირის შესახებ პირდაპირ წყაროებ იდან და არა საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ ბანაკიდან.

შეეხო რა იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის სხვადასხვა საკითხებს, კოპპმა განაცხადა, რომ მანჯურიის რკინისგზების საკითხის ლოიალურ და მშვიდობიან გადაჭრაზე დამოკიდებულია მომავალში იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარება.

იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება

ტოკიო, 6 მაისი. იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დიპლომატიურ ურთიერთობას, რომელსაც იაპონიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, წარმოადგენს ურთიერთობა შორეულ აღმოსავლეთთან და განსაკუთრებით ჩინეთთან და საბჭოთა კავშირთან. **ახალი ეკონომიური პოლიტიკა რუსეთში—განაცხადა შიდეხარამ,—უადვილებს იაპონიას რუსეთთან თანამშრომლობის საქმეს.** რუსეთ-იაპონიის ურთიერთობა იხლართება რა მთელ რიგ პრობლემებში **ვითარდება უადრესი გულწრფელობით.**

შეეხო რა ჩინეთს, შიდეხარამ განაცხადა, რომ მდგომარეობა ჩინეთში დროებით მოწესრიგდა, მაგრამ ჩინეთის მუშათა კლასის ეკონომიური გამოღვიძება მოითხოვს ყურადღებას იაპონიის მხრივ. ამიტომ იაპონიისათვის საჭიროა საუკეთესოთ გამოიყენოს ყოველგვარი შესაძლებლობანი საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რა ხდება ბულგარეთში

ცანკოვის ტერორი

ოდესა. 6 მაისი. ვარნიდან ჩამოსული მგზავრები იტყობინებიან, რომ რუსეთის თეთრგვარდიელების მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურ მონაწილეობას იღებს ცანკოვის სისხლიანი ტერორის გატარებაში. ვრანგელის მომხრეების მცირე ჯგუფი, რიცხვით 30 კაცი, რომელთაც უარი სთქვეს ამ საზიზღარ საქმეში მონაწილეობის მიღებაზე, თავდაპირველად მოათავსეს კონცენტრაციულ ბანაკში, შემდეგ კი ჩასვეს ძველ გემში, რომელიც შეიძლებოდა ყოველ წუთში დაღუპულიყო, და გაგზავნეს სტამბოლში. გზაში მანქანა გაფუჭდა, წყალი შეიჭრა ტრიუმებში და მიუხედავათ კაპიტანის განცხადებისა, რომ გემს ხიფათი მოელის, ნაღმოსანმა, რომელიც უკან მიჰყვებოდა გემს, აუტეხა მას სროლა, შემდეგ კი აიყვანა ბუქსირზე და გაუშვა შუა ზღვაში.

გატეხილი საჭეთი გემი 3 კვირა ხეტიალობდა ზღვაში. გემზე დაიწყო სიმშილობა; რამოდენიმე კაცი მოკვდა, რამოდენიმე ზღვაში გადავარდა.

ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ გემმა დიდის სიძნელით მიაღწია სტამბოლამდი.

მორიგი პროვოკაცია

ვენა 6 მაისი. სამხრეთ-სლავიის მთავრობა იუწყება, ვითომდა მას მოეპოვება დასამტკიცებელი საბუთები იმისი, რომ ვენაში მოქმედობს რომელიღაც კომუნისტური ცენტრალური ორგანიზაცია, რომლის ამოცანას შეადგენს კომუნისტურ გამოსვლების ხელმძღვანელობა ბალკანეთში და კერძოთ სამხრეთ-სლავიაში. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ მიმართა ავსტრიის მთავრობას მოთხოვნით დაშალოს აღნიშნული ორგანიზაცია და გადაასახლოს ზოგიერთი პირები, რომელნიც სამხრეთ-სლავიის მთავრობის აზრით „საეჭვო“ პირებს წარმოადგენენ.

ინგლისი გადავიდა ოქროს ვალიუტაზე

ლონდონი. 6 მაისი. თემთა პალატამ საბოლოოდ დაამტკიცა ოქროს ვალიუტის აღდგენა.

ეხმარებიან კაპიტალისტებს და არა უმუშევრებს

ლონდონი, 6 მაისი. ინგლისის პროფკავშირების გენერალურმა საბჭომ, მუშათა პარტიის აღმასკომმა და მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ გამოაქვეყნეს საერთო დეკლარაცია, რომელშიაც ჰკიცხავენ ყოფილი ჯანმრთელობის მინისტრის ალფრედ მონდის მიერ წარმოდგენილ გეგმას უმუშევრობის აღმოფხვრის შესახებ. **ამ გეგმის მიხედვით მრეწველებს ეძლევათ სუბსიდიები უმუშევართა ნაციონალურ ფონდიდან.**

ბულგარეთის კომპარტიის განცხადება

მოსკოვი, 7 მაისი. ბულგარეთის კომპარტიის წარმომადგენლობამ უცხოეთში პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ბულგარეთის უკანასკნელი ამბების შესახებ განაცხადა შემდეგი:

კომპარტიას არ დაუნიშნავს არავითარი შეიარაღებული აჯანყება ბულგარეთში. სოფიის მთავრობის მტკიცება, რომ, თითქოს, აჯანყება დანიშნული იყო კომპარტიის მიერ, წარმოადგენს განზრახ მოგონილ სიცრუეს, რომელიც დამყარებულია ყალბ დოკუმენტებზე. ეს დოკუმენტები, როგორც ეს ეხლა უკვე სავსებით გამორკვეულია, **დამზადებულია რუს მონარქისტების და საერთაშორისო შანტაჟისტების**—გუმანსკის და დრუჟელოვსკის მიერ ბერლინში.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არავითარი წილი უდევს არც მეფე ბორისზე თავდასხმის მოწყობაში და არც სოფიის ტაძრის აფეთქებაში. მთავრობის ცილისწამების კამპანია, რომელიც ამ ქმედობას აწერს კომპარტიის და მიწის მუშათა კავშირს, გამოწვეულია მხოლოდ მით, რომ მთავრობას ამ გზით სურს გაამართლოს კომუნისტ მუშების და გლეხების და აგრეთვე მიწის მუშების კავშირის მომხრეთა მასიური დახვრეტა, რომელიც მან მოახდინა.

უწევდა რა ანგარიშს ქვეყნის შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობას, ბულგარეთის კომპარტია არ ისახავდა თავისი ბრძოლის უშუალო მიზნად საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ბულგარეთში. **სტიქიური პარტიზანული მოძრაობა, სოფიის ტაძრის აფეთქება და აგრეთვე ყველა სხვა ტერორისტული აქტები წარმოადგენდენ მთავრობის უსაშინელესი ტერორის აუცილებელ შედეგს.**

მხოლოდ გონება დაკარგულ მტარვალთა მთავრობის შეცვლა, საგანგებო კანონების გაუქმება, მშრომელი ხალხის თავისუფლების და გათელილ უფლებების აღდგენა და თეთრი ტერორის მსხვერპლთათვის საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება იხსნის ქვეყანას სისხლისმღვრელ ანარქიისაგან, რომელიც თანდათან ძლიერდება.

კომპარტია—როგორც წინად, ისე ეხლა აყენებს ამ მოთხოვნილებებს და მოუწოდებს მუშებს და გლეხებს მასიური ბრძოლისაკენ მათი განხორციელებისათვის. გენერლების და ბანკირების ავაზაკური ბანდა თავისი ძალზე შერყეული ხელისუფლების განმტკიცების მიზნით შეუდგა ახალ საყოველთაო დაპატიმრებას, მხეცურ შურისძიებას მუშებზე და გლეხებზე. **ყოველდღე მასიურად ხვრეტენ ქვეყნის საუკეთესო შვილებს.**

ბულგარეთის ხალხისათვის ამ საშინელ დღეებში კომპარტია იმედს ამყარებს მხოლოდ სხვა ქვეყნების მშრომელთა დახმარებაზე. ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და იტალიის მუშათა კლასს, ე. ი. იმ ქვეყნების მუშათა კლასს, რომელთა მთავრობები პირდაპირ თუ არა პირდაპირ მხარს უჭერდენ სოფიის ჯალათებს, თავისი ენერგიული გამოსვლით კიდევ შეუძლია იხსნას ათასობით მუშების და გლეხების სიცოცხლე და დაეხმაროს მათ ცანკოვის სისხლისმღვრელი რეჟიმისაგან განთავისუფლებაში.

გერმანიის ამბები

გერმანიის კომპარტიის დეკლარაცია.

ბერლინი, 6 მაისი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ, რეიხსტაგის კომფრაქციამ და ლანდტაგის კომფრაქციამ გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ „რესპუბლიკანური“ პარტიები აშკარად გადავიდენ ჰინდენბურგის ბანაკში, როგორც კი უკანასკნელს წილად ხვდა გამარჯვება.

კომპარტიის ცეკა აცხადებს, რომ მინიმალური მოთხოვნილებები, რომლებიც წამოაყენეს კომუნისტებმა, ძალაში რჩება არა მარტო პრუსიისათვის, არამედ მთელი გერმანიისათვის. კომუნისტები ხელს არ შეუშლიან მთავრობას ჰინდენბურგის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამით, თუ მთავრობა იკისრებს კომპარტიის მიერ წარმოდგენილ პირობების ცხოვრებაში გატარებას. ცხადია, მთავრობისაგან არ უნდა ველოდეთ რაიმე ნამდვილ ძლიერ წინააღმდეგობას ჰინდენბურგის რეაქციონური პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგრამ კომპარტია მისცემს მთავრობას მოკლე ხნის ვადას, რათა პოლიტიკური ფაქტებით დარწმუნდეს იმაში, რომ რესპუბლიკანური მოლაყბეები ვერ სჯობიან აშკარა მონარქისტებს.

ეხლა კი კომპარტია მოუწოდებს ყველა მუშებს—ჰინდენბურგის მოწინააღმდეგეებს ფხიზლად ადევნონ თვალყური იმას, თუ როგორ პასუხს გასცემენ კომუნისტების წინადადებას რესპუბლიკანური პარტიები, რომლებიც ნებას აძლევდენ თავის თავს რეაქციის დამხმარეები ეწოდებიათ კომუნისტებისათვის.

ჰინდენბურგი ფიცს სდებს რესპუბლიკის „ერთგულებაზე“.

ბერლინი. 6 მაისი. ჰინდენბურგის მიღება გაგრძელდება ორი დღე—11 და 12 მაისს. ორშაბათს ნაშუადღევს მოხდება პრეზიდენტის მატარებლის საზეიმო შეხვედრა დასავლეთის სადგურზე რეიხსვერის რაზმების და მემარჯვენე ორგანიზაციების მიერ, სამშაბათს—პრეზიდენტი ფიცს დასდებს კონსტიტუციის ერთგულების შესახებ და გაიმართება რეიხსვერის აღლუმი. სკოლები დაკეტილი იქნება.

ვინ მისცა ხმა ტელმანს.

ბერლინი, 6 მაისი. პრეზიდენტის არჩევნების შედეგები ზოგიერთ ადგილებში, რომლებიც დასახლებულია წვრილი გლეხებით და მიწიჯარადრეებით, მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ტელმანისათვის.

კარლსრობის ოლქის სოფლებში ტელმანმა მიიღო 111 ხმა, მარქსმა—87, ჰინდენბურგმა—7, ვილჰელმსროდში ჰინდენბურგმა მიიღო 290 ხმა, **ტელმანმა—118** და მარქსმა—13. ალტეიდ-ლეიკენში, შენკენდორფში, პეტრიკენში და სხვა ადგილებში ტელმანმა მიიღო ყველა ხმების 50 პროც.; ამასთანავე ამ ადგილებში არ გამართულა არავითარი საარჩევნო კრება.

ინგლისი და გერმანია

ლონდონი, 6 მაისი. თემთა პალატაში შეტანილი იქნა შეკითხვა, როდის აცნობებენ გერმანიის მთავრობას დაარღვია თუ არა მან თავისი ვალდებულებანი განიარაღების საკითხში. ჩემბერლენმა უპასუხა, რომ მოკავშირეებს ახლო მომავალში საშუალება ექნებათ გაუგზავნონ გერმანიის მთავრობას ნოტა, რომელშიაც გაშუქებული იქნება საქმის ნამდვილი „ვითარება.

პანების სამეფოში

„ვიზვოლენიე“-ს რიგები იზრდება

„ვიზვოლენიე“-ს რიგები იშლება.

ვარშავა. 6 მაისი. დადის ხმები იმის შესახებ, რომ „ვიზვოლენიეს“ პარტიაში მზადდება ახალი განხეთქილება. მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერებიდან გამოსვლას აპირებს დომბსკი.

ესტონეთის დელეგაცია პოლონეთში.

ვარშავა. 6 მაისი. 14 მაისს ვარშავაში ოფიციალურად ჩამოვა ესტონეთის მთავრობის წევრთა ჯგუფი პრემიერის მეთაურობით.

პოლიტიკა განაპირა კუთხეებში.

ვარშავა. 6 მაისი. სეიმში 5 მაისს იხილავდენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტს. სახალხო დემოკრატმა ზვკეჟინსიმ სასტიკად გააკრიტიკა მინისტრთა კაბინეტის ვიცე პრეზიდენტის ტუგუტის პოლიტიკა განაპირა კუთხეების საკითხში.

ლუცკში გრძელდება დაპატიმრებანი.

ვარშავა. 6 მაისი. პოლონეთის სეიმის კომფრაქციას შეაქვს შეკითხვა ლუცკში გამუდმებულ დაპატიმრებათა შესახებ. შეკითხვაში აღნიშნულია, რომ დაპატიმრებულნი მთელი თვის განმავლობაში სხედან დაუკითხავად და განიცდიან საშინელ წამებას.

101-ის პროცესი.

ვარშავა. 6 მაისი. 26 მაისს კოვნოში იწყება 101 ვოლინელ გლეხის პროცესი; გლეხებს ბრალად ედებათ მეამბოხეთა ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება.

აღმოსავლეთში

ფრანგები მაროკკოში

პარიზი, 6 მაისი. „ჰავასის“ სააგენტო იუწყება:

რაბატის რაიონში დასავლეთის ფრონტზე დაზვერვამ აღმოაჩინა, რომ რიფფების პოზიციები ბიბანის მთიან ადგილებში ძალიან გამაგრებულია და გათხრილია რამდენიმე წყება სანგრებისა. ცენტრში საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს მაღლობები ტაუნატის რაიონში და მოიგერიეს რიფფების კონტრ-იერიშები. აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე არ იჩენს აქტივობას.

უკანასკნელი ცნობების თანახმად უკანასკნელ ბრძოლის დროს ფრანგებმა დაჰკარგეს 4 ოფიცერი და 12-დე ჯარისკაცი, უმეტესობა ადგილობრივი მცხოვრები. რიფფებმა დაჰკარგეს 500 კაცამდე.

იტალია და ეგვიპტე

ლონდონი, 6 მაისი. მოლაპარაკება იტალიის და ეგვიპტეს მთავრობებს შორის ეგვიპტესა და კირენაიკას შუა საზღვრის გასწორების შესახებ (დავაა ჯარობუბის ოაზისზე) ჩიხში მოექცა, რადგან ეგვიპტეს მთავრობას არ სურს აწარმოოს მოლაპარაკება იმ ფარგლებში, რომელსაც მისაღებად სთვლიან ლონდონში და რომში. ეგვიპტეს მთავრობის წრეებში ეგვიპტის კაბინეტის მიერ დაკავებულ პოზიციას ხსნიან მით, რომ ზაგლულის მომხრეები სასტიკად ილაშქრებენ მთავრობის წინააღმდეგ, კერძოთ, იმისათვის, რომ უკანასკნელი არჩევნების წინ მთავრობა არწმუნებდა იტალიას, რომ ის წინ არ აღუდგება იტალიის პრეტენზიებს ჯარობუბის ოაზისზე.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ჰოლანდია

მოსალოდნელია დიდი გაფიცვა

ბერლინი, 6 მაისი. ჰოლანდიის ჩრდილოეთის ტორფიან რაიონის მწარმოებელთა კავშირმა წარუდგინა გაფიცულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად მწარმოებელთა მოთხოვნილება 20 პროცენტით სამუშაო ხელფასის შემცირების შესახებ ძალაში რჩება.

რადგან 5 მუშათა ორგანიზაცია, რომლებიც შეთანხმებულად მოქმედებენ, მოითხოვს გაფიცვას ამ მოთხოვნილების განხორციელების შემთხვევაში, მწარმოებლების ამ გადაწყვეტილებას შედეგად მოჰყვება გაფიცვის საგრძნობლად გაფართოება მთელს ტორფიან რაიონში.

საფრანგეთი

პარიზის ტრანსპორტის მუშებმა გაიმარჯვეს

პარიზი, 6 მაისი. პარიზის ტრანსპორტის მუშების გაფიცვამ იმდენად სერიოზულად შეაფერხა მიმოსვლა პარიზის ქუჩებში, რომ **ქალაქის რკინის გზების სამმართველო იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და უკანვე მიეღო ყოველგვარი პირობების გარეშე ყველა ის მუშები, რომლებიც დათხოვნილი იყვნენ 1 მაისს სამუშაოზე გამოუსვლელობისათვის. სამმართველო დათანხმდა აგრეთვე ჯილდოთ 300 ფრანკის გადახდაზე და ტრანსპორტზე ხელახალი შერეული კომისიის არჩევაზე.**

უკანასკნელი ცნობები

მარჯვნისაკენ გადახრის გაკიცხვა

პრაღა, 7 მაისი. კომუნისტ დეპუტატების კლუბმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ესალმება კომინტერნის დადგენილებებს და კიცხავს მარჯვნისაკენ გადახრას.

ბულგარეთი ბოდიშს იხდის სამხრეთ-სლავიასთან

ვენა, 7 მაისი. ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კალფოვი ჩავიდა ბელგრადში.

პოლიტიკურ წრეებში გადმოგვცემენ, რომ კალფოვის მიზანია პირველ ყოვლისა ბოდიში მოიხადოს სამხრეთ-სლავიასთან ბულგარეთის მიერ მისთვის წაყენებულ ბრალდებაში სოფიაში მომხდარ ამბების გამო. ამას გარდა კალფოვს განზრახვა აქვს კვლავ წამოაყენოს პროექტი ბალკანეთის სახელმწიფოების ფრონტის შექმნისა ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ბელგრადიდან კალფოვი გაემგზავრება პარიზს.

რუმინელ კომუნისტების გასამართლება

ვენა, 7 მაისი. ეს არის ბუქარესტიდან დაბრუნდა პარიზელი ვექილი შტეინი, რომელიც სხვა უცხოელ ვექილებთან ერთად არ იქნა დაშვებული რუმინეთის სამხედრო სასამართლოს მიერ კომუნისტების გასამართლებაზე. შტეინმა განაცხადა, რომ ამ პროცესის მიზანია რუმინეთის მთავრობამ გაამართლოს საზოგადოების თვალში მის მიერ მიღებული რეპრესიული ზომები და რუმინეთის შინაური გამწვავებული კრიზისის გამო საზოგადოების ყურადღება შეაჩეროს ამ გასამართლებაზე.

ბრალდება ეყრდნობა იმას, რომ ბრალდებულებს, თითქოს, კავშირი ჰქონოდეთ კომინტერნთან. საქმის წარმოება მხოლოდ და მხოლოდ ოფიცრების ხელშია.

რუმინეთის „ოხრანკამ“ დააპატიმრა და საზღვარგარეთ გადაასახლა ვენელი ვექილი შენგოფი, რომელიც ჩამოვიდა ბუქარესტში რუმინელ კომუნისტების დასაცავად.

შეჯახება ბანდიტებთან

ნუხა, 7 მაისი. 7 მაისს ღამით ნუხის მაზრის სოფ. ხალაბადანსა და აგდაშის მაზრის ს. ხალდანს შორის დიდი შეჯახება მოხდა ერთის მხრივ 20 კაცისაგან შემდგარ ბანდიტებსა და მეორეს მხრივ განჯის რაზმელებსა და აგდაშის მილიციონერებს შორის, რომლებიც მათ მისდევდენ. სროლის დროს მოკლულ იქნა აგდაშის 9 მილიციონერი და 3 განჯელი რაზმელი. მოკლულ რაზმელების ცხენები ბანდიტებმა გარეკეს ზაქათალის ოლქის საზღვრებისაკენ. ყაჩაღებიდან დაჭერილია ორი კაცი, ისინი ჩაიყვანეს ნუხაში.

ლა მით შემთხვევის ადგილას ნუხიდან გაემგზავრა მილიციონერთა რაზმი.

ავარია

სოხუმი, 7 მაისი. მოტორიან გემ „ალიოშა ჯაფარიძეს“, რომელიც ფოთიდან მოვიდა, წყალი შეეპარა. მას აფხაზეთის კოოპერატიულ კავშირისათვისათვის მიჰქონდა მარილი.

გემის გადარჩენის მიზნით ზღვაში გადმყრილ იქნა 1.500 ფუთი მარილი.

პროფინტერნში

მოხსენება ბულგარეთის ამბების შესახებ

მოსკოვი, 6 მაისი პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება ბულგარეთის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა დაახასიათა ცანკოვის რეჟიმი და აღნიშნა, რომ ის შედეგია იმის, რომ ბულგარეთის ბურჟუაზია, რომელიც თავისი ბუნებით მტაცებლური და პარაზიტულია, მოსწყდა არა მარტო მშრომელ მასებს, არამედ წვრილი ბურჟუაზიის და ინტელიგენციის ფართო წრეებსაც. მომხსენებელმა აღნიშნა გაუგონარი რეპრესიები წითელი პროფკავშირების წინააღმდეგ და პროფკავშირების აქტიური წევრების მასიური ხოცვა-ჟლეტა. გლეხების დევნასთან ერთად იზრდება პარტიზანული მოძრაობა, რომელიც საწინდარია იმის, რომ ბულგარეთის მუშები და გლეხები წელში გასწორდებიან დარბევის შემდეგ, აღადგენენ თავის კლასიურ ორგანიზაციებს და კომუნიზმის დამყარებისათვის დაწყებულ ბრძოლას ბოლომდი მიიყვანებენ.

აღმასრულებელმა ბიურომ მოხსენების გამო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მიმართავს ყველა მიმართულების მუშებს, ყველა იმათ, ვისაც არ დაუკარგავს პროლეტარული სინიდისი, გამოვიდენ ენერგიულათ ცანკოვის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ და დახმარება გაუწიონ ბულგარელ ძმებს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

წითელ რესპუბლიკებში

უკრაინა

შემოდგომის ნათესების მდგომარეობა.

ხარკოვი. 6 მაისი. უკრაინის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით წვიმების შემდეგ შემოდგომის ნათესების მდგომარეობა მთელ უკრაინაში თვალსაჩინოთ გაუმჯობესდა.

1 მაისისათვის შემოდგომაზე დათესილი ქვავის მდგომარეობა შეფასებულია 3—4 ბალად. ხორბლის მდგომარეობა საშუალოა. გაზაფხულის ნათესი შეფასებულია 4 ბალად.

მექრთამეობისა და ცემისათვის— 10 წლის ციხე.

ეკატერინოსლავი, 7 მაისი. კრივოროგის ოლქის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ბაიკას სისტემატიური მექრთამეობისა და გლეხების ცემისათვის მიესაჯა დახვრეტა, რომელიც შეეცვალა 10 წლის ციხით, რადგან მიღებულია მხედველობაში მისი ძველი რევოლიუციონური მოღვაწეობა.

ყირიმი

გლეხები კურორტებზე.

სევასტოპოლი, 6 მაისი. კურორტებზე ყოველდღე ჩამოდიან გლეხები საბჭოთა კავშირის მიყრუებულ სოფლებიდან.

გლეხები, მათი სიტყვით, თვალებს არ უჯერიან და გაოცებული არიან იმ ფუფუნებით და სიმდიდრით, რომელსაც ისინი ხედავენ ყოფილ მეფის სასახლეებში, სადაც დატოვებულია მთელი მოწყობილობა.

პოლონეთში ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრის წინააღმდეგ

გლეხთა ინტერნაციონალის წარმომადგენელთა გამოსვლა უკრაინის საბჭოთა ყრილობაზე

ხარკოვი. 7 მაისი. სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობაზე დომბალის შემდეგ გამოვიდა გლეხთა ინტერნაციონალის დელეგაციის მეორე წევრი, ამერიკელი გლეხი ზანგი ჯევისი, რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშისცემით შეხვდა.

„მე, მსოფლიოში ყველაზე უფრო დაჩაგრული რასის წარმომადგენელმა,—სთქვა დევისმა—საბჭოთა ქვეყანაში ვპოვე აღფრთოვანებული ძმური შეხვედრა. ამერიკაში შავკანიანები სძულთ, მათთვის ცალკე ვაგონები აქვთ მიჩენილი მატარებლებში. საბჭოთა კავშირში ყველა ხალხები, ყველა რასები თანასწორი არიან. მე აქ გავიგე, რომ 12 მილ. უკრაინელი გლეხი იჩაგრება პოლონეთის და რუმინეთის უღელს ქვეშ. მე ვიცი რა არის ჩაგვრა და მთელი ჩემი არსებით პროტესტს ვაცხადებ პოლონეთის პანების მიერ უკრაინელების აბუჩად აგდების წინააღმდეგ. [illegible] თვითონ წილად მხვდა ლინჩის სასამართლო იმისათვის, რომ ბავშვებს წერა-კითხვას ვასწავლიდი. ჩემი სახლი დასწვეს. მე ძლივს გადავრჩი სიკვდილს.

ამერიკის ყველა მშრომელი ზანგების სახელით ფიცს ვსდებ, რომ ზანგები მთელს ძალ-ღონეს და მთელს სიცოცხლეს გასწირავენ მსოფლიო ოქტომბრის გამარჯვებისათვის“.

შემდეგ გამოვიდა ნორვეგიის გლეხობის წარმომადგენელი ლენგლი, რომელმაც სკანდინავიის პროლეტარიატის სახელით განაცხადა:

„მე თქვენთან ერთად პროტესტს ვაცხადებ იმ გაუგონარი შევიწროებების წინააღმდეგ, როგორსაც განიცდიან უკრაინელები პოლონეთში. პოლონეთის ნაციონალური საკითხი საერთაშორისო საკითხად უნდა იქცეს“.

ყრილობის სახელით დელეგატებს პასუხი გასცა გრინკომ, რომელმაც განაცხადა: „ლენინიზმის იარაღით ხელში თქვენ მიაღწევთ იმ შედეგებს, რომელთაც ჩვენ აქ მივაღწიეთ. გახსოვდეთ, რომ თქვენი მთავარი მტერი—ეს არის შემთანხმებლობა ჩვენს საკუთარ რიგებში“.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

სიმინდის ნაკლებობა

სოხუმი, 7 მაისი. უკანასკნელ დროს სოხუმის ბაზარზე საგრძნობი იყო სიმინდის დიდი ნაკლებობა, რის გამო სიმინდის ფასმა მოიმატა. ბაზარზე გამოშვებულ იქნა სახელმწიფო ბანკის საწყობებიდან 10,000 ფუთი სიმინდი, მაგრამ ამან ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნილება, რომელიც ძალიან გაიზარდა თესვის კამპანიის გამო.

სიმინდის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, სახელმწიფო ბანკმა შეისყიდა თბილისის საქონლის-საფონდო ბირჟაზე 40,000 ფუთი სიმინდი. აქედან 20,000 ფუთი უკვე გაიგზავნა ფოთში, საიდანაც ამ დღეებში მიტანილი იქნება სოხუმში.

საბანაო სეზონი

სოხუმი, 7 მაისი. გაიხსნა ზღვაში ბანაობის სეზონი.

აზერბეიჯანი

ნავთის ახალი შადრევნები.

ბაქო, 7 მაისი. ბიბი-ეიბათის რაიონში 4 მაისს, საღამოს 9 საათზე ამუშავდა მე-7-ე სამრეწველოში ნავთის ახალი შადრევანი, რომელიც დღეღამეში იძლევა 20,000 ფუთ ნავთს.

5 მაისს იმავე ბიბი-ეიბათის რაიონში ამუშავდა კიდევ მეორე შადრევანი, რომელიც იძლევა 40,000 ფუთს დღეღამეში.

ორთავე შადრევანის ექსპლოატაცია სწარმოებს დახურული წესით, რათა არ გაქრეს გაზი და ნავთის სხვა ნაწილები.

ყოველ საათში მოელიან № 338 და 18 შადრევანების ამუშავებას.

ბაქოს ბაზრობაზე.

ბაქო, 7 მაისი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა აზერბეიჯანში მიიღო ცნობა, რომ ბაქოს ბაზრობაზე მოდის ოსმალეთის სავაჭრო პალატის მთელი პრეზიდიუმი პალატის თავმჯდომარე ომარ-კაზილ-ბეის მეთაურობით.

პარტიული ცხოვრება

რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 7 მაისი. რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმმა, რომელიც დამთავრდა 30 აპრილს, მოისმინა რუზუტაკის მოხსენება რკინისგზის ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ. მოხსენების გამო პლენუმმა დაადგინა: რადგან ტრანსპორტის აღდგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მეურნეობის საერთო აღორძინებასთან დაკავშირებით, ამ საკითხის დასამუშავებლად დაარსდეს კომისია, რომელშიაც შევა ცეკას 10 წევრი.

კოგანოვიჩმა მოკლე მოხსენება გააკეთა ცეკას იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელსაც დავალებული ჰქონდა მუშაობის წარმოება პარტიაში შემოსულ და ახლად შემოსვლელ მუშებს შორის. პლენუმმა მოიწონა კომისიის მუშაობა და დაადგინა გაუქმებულ იქნეს კომისია.

პლენუმმა დაადგინა პარტიის მე-14-ე ყრილობა მოწვეულ იქნეს ამა წლის ნოემბრის მეორე ნახევარში.

რადგან კოგანოვიჩი არჩეულია უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას გენერალურ მდივნად, პლენუმმა განთავისუფლა ის ცეკას მდივნობიდან და რ. კ. პ. ცეკას მეხუთე მდივნად დანიშნა ბუბნოვი.

უკრაინის კომპარტიის ც. კ. პლენუმი

ხარკოვი. 7 მაისი. უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია უკრაინიზაციის შესახებ, რომელშიაც აღნიშნულია, რომ პარტიული და პროფესიონალური აპარატის, და აგრეთვე მთელი საზოგადოებრივი და პარტიული ცხოვრების უკრაინიზაციას მრავალი დაბრკოლებები ელობებოდა წინ და მას ხშირათ პასიურ წინააღმდეგობას უწევდენ ზოგიერთი მუშები და პარტიის წევრები.

ამიტომ უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი საჭიროთ სთვლის ამ ჟამათ პარტიის ყველა ძალების დაგროვებას შინა-პარტიული ორგანიზაციის უკრაინიზაციის გასატარებლათ. ძველმა პარტიულმა კადრებმა უნდა შეისწავლონ უკრაინული ენა. მთელი პარტიული განათლება გადათარგმნილი უნდა იქნეს უკრაინულ ენაზე. გაზეთი „კომუნისტი“ გადაწყვეტილია გადაყვანილი იქნეს უკრაინულ ენაზე.

პარტიის უკრაინიზაცია უნდა დამთავრდეს 1926 წლის იანვრისათვის.

პარტმუშაობა ხიდისთავის რაიონში

გურიის პარტიულ ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხიდისთავის პარტორგანიზაციას, რომელშიაც გაერთიანებულია 83 წევრი და 4 კანდიდატი.

უპარტიო მშრომელ გლეხკაცობის შორის ხიდისთავის რაიონის ორგანიზაცია დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ამის საუკეთესო მომასწავებელია სხვათა შორის ის გარემოებაც, რომ უპარტიო გლეხებისაგან რაიკომში შემოდის მრავალი განცხადებები მათი პარტიაში მიღების შესახებ. ჯერჯერობით პარტიის რიგებში მიღებულია მხოლოდ 12 კაცი, რომლებიც აქტიურად ჩაბმული არიან უჯრედების სხვადასხვა პრაქტიკულ სამუშაოებში.

ამასთან ერთად აქ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ პარტწევრებს შორის მეტად მტკიცე დისციპლინა არსებობს.

ჩვენი პარტიის მიერ გადმოსროლილ ლოზუნგებმა „პირი სოფლისაკენ“ ჩვენს ორგანიზაციაში ჰპოვა შესაფერი გამოძახილი. ორგანიზაციამ დამკვრელ ამოცანად დაისახა სოფლის გლეხკაცობის შორის მუშაობის გაღრმავება, რომელსაც დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. დროგამოშვებით ერთიან პარტიულ დღის გარდა ხდება უპარტიო გლეხთა კრებები, რომლებსაც ესწრება გლეხების საკმაო რაოდენობა.

ხიდისთავის რაიონის გლეხკაცობა მეტად კმაყოფილი დარჩა საბჭოთა არჩევნებით. მთელი რაიონის მასშტაბით, სანამ დაიწყებოდა არჩევნები, უჯრედების და საერთო კრებებზე ჩატარებულ იქნა სათანადო კამპანიები, რომლებსაც გლეხები მეტად შეგნებულად ხვდებოდენ. თემის აღმასკომებში და საბჭოებში მოხდა საგრძნობი ცვლილება. მათში გაყვანილ იქნა უპარტიო გლეხები, გლეხიქალები.

რაც შეეხება ადგილობრივად კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. ამ დარგში მუშაობა მოისუსტებს, ვინაიდან სოფლის ქოხსამკითხველოები თავის დროზე არ ღებულობენ როგორც პერიოდულ, ისე არაპერიოდულ ლიტერატურას. ამ არანორმალური მოვლენის თავიდან აცილების მიზნით რაიკომის მიერ უკვე მიღებულია სათანადო ზომები.

ქალთა შორის მუშაობა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, რადგანაც ზემოხსენებულ რაიონს არა ჰყავს ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორი. საჭიროა ამ გარემოებასაც მიექცეს სერიოზული ყურადღება ცეკასთან არსებულ ქალთა განყოფილების მიერ.

ქ. პ.

არსენალის რაიკომის პრეზიდიუმში

არსენალის კომუჯრედის მუშაობის შესახებ

პრეზიდიუმმა მოისმინა რა არსენალის კომუჯრედის მდივნის ანგარიში, მოიწონა შესრულებული მუშაობა და წინადადება მისცა უჯრედს ცხოვრებაში გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

უჯრედის სხდომებზე პერიოდულათ დასმული უნდა იქნეს მოხსენებები უჯრედის ბიუროს მუშაობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უჯრედთან არსებულ კომისიების მუშაობას, რომელშიაც ჩაბმული უნდა იქნეს ლენინელების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა.

საწარმოო თათბირის არა გეგმაშეწონილი მუშაობის გამო (თათბირებს იშვიათათ იწვევდენ; მუშაობა სწარმოებდა უგეგმოთ), უჯრედმა და ადგილკომის ფრაქციამ უნდა მოაგვარონ საწარმოო თათბირის მუშაობა; თათბირები უფრო ხშირათ უნდა იქნეს მოწვეული, ამასთანავე მათ დახმარება უნდა გაუწიონ თათბირებს როგორც საწარმოო ხასიათის საკითხების დამუშავებაში, ისე საწარმოო თათბირების დადგენილებათა გატარებაში.

გაძლიერებული უნდა იქნეს კავშირი და მუშაობა ა. ლ. ქ. კ. უჯრედში. ამ მიზნით კი საჭიროა მომზადებული პარტიული ამხანაგების გაგზავნა იმ კომისიაში, რომელიც მუშაობს ა. ლ. ქ. კ. უჯრედში.

დაევალოს საორგანიზაციო განყოფილებას არსენალის კომუჯრედზე მიამაგროს ორი მომზადებული ამხანაგი, რომლებმაც უნდა ისწავლონ ქართული და რუსული ენა. უჯრედის სხდომებზე სისტემატიურათ დასმული უნდა იქნეს ადგილკომის მოხსენებები მისი მუშაობის შესახებ. ამასთანავე გაძლიერებული უნდა იქნეს ადგილკომის ფრაქციის მუშაობა მისთვის ხელმძღვანელობის გაწევის გზით.

შ. რ.

ამხ. ევტიხი ვაშალომიძის ხსოვნას

კიდევ დავკარგეთ ერთი საუკეთესო მებრძოლი ამხანაგი. საქართველოს კომუნისტურ კავშირს ამხ. ვაშალომიძის სახით გამოაკლდა ერთი საუკეთესო რევოლიუციონური ენტუზიაზმით აღსავსე მებრძოლთაგანი. ძალზე ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე. მუშათა კლასისათვის ამ ახალგაზრდა მებრძოლის ასე უდროვოდ დაკარგვა დიდი დანაკლისია.

ჯერ კიდევ 1918 წელს ამხ. ვაშალომიძე დგება კომუნისტურ ახალგაზრდობის რიგებში და ამავე წლიდან იწყებს გურიაში არალეგალურ მუშაობას.

1919 წლიდან ის სწყდება გურიის ორგანიზაციას და მიეშურება ხაშურში, სადაც აგრძელებს სწავლას საშუალო სასწავლებელში. ხაშურში ყოფნის დროს, მიუხედავად ნივთიერი უსახსრობისა, იგი მთელ თავისუფალ დროს და ენერგიას ანდომებდა თეორეტიულ მეცადინეობას, მარქსიზმის შესწავლას.

1921 წლიდან კი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამხ. ევტიხი აგრძელებს მუშაობას კომ. კავშირში. ის მთელი თავისი არსით ეკუთვნოდა კომუნისტურ კავშირს.

1922 წელს ამხ. ევტიხის ვხედავთ გორის სამაზრო კომიტეტის აგიტპროპის გამგეთ, სადაც ის ეწევა დაუღალავ მუშაობას. მან გაადიდა მაზრაში მარქსისტულ წრეთა რიცხვი, რომელთაც ის სათანადოთ ხელმძღვანელობდა.

1923 წელს ცეკას დადგენილებით ამხ. ევტიხი გადაჰყავთ ფოთის კომიტეტში. ამავე დროს ის არის მუდმივი თანამშრომელი ჩვენი ოფიციალური ორგანოების და კერძოდ ჟურნალ „მომავლის“ ლიტერატურული განყოფილების.

1924 წლიდან ამხ. ვაშალომიძე მიწვეული იქნა ლექტორად „წითელ მეთაურთა სკოლაში“.

აი ამ თავდადებულ საქმიანობის პროცესში მის ორგანიზმს იპყრობს განუკურნებელი სენი ჭლექი, რომელმაც ის ხელიდან გამოგვაცალა. ამიერიდან აღარ გვყავს ახალგაზრდა რევოლიუციონური ალტაცებით აღსავსე ამხ. ევტიხი, რომელსაც კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო კომკავშირისა და კომპარტიისათვის.

მაგრამ ჩვენ არ გვჩვევია არც ტირილი და არც გლოვა.

უდროვოდ დაკარგვა თავდადებული ახალგაზრდა მებრძოლისა გვკარნახებს მას, რომ უფრო შეურყევლად დავიცვათ ყოველივე ის, რომელსაც შესწირა თავი და რომლისთვისაც იბრძოდა ამხანაგი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში; ეს იქნება საუკეთესო ძეგლი ამხ. ევტიხის ხსოვნის აღსანიშნავად. ჩვენ ამას შევასრულებთ...

ევგ. ლ—ა.

კომინტერნის პლენუმის შედეგები

ამხ. ზინოვიევის მოხსენება*)

მე-14 საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე

ორი სტაბილიზაცია ლენინის განმარტებით

მე არაფერი მაქვს დასამატებელი იმისთვის, რაც უკვე ნათქვამია თეზისებში ამ საკითხის შესახებ. გირჩევთ შეისწავლოთ ეს თეზისები მინდა მოგაგონოთ მხოლოდ ქრონოლოგია.

ლენინმა ეს საკითხი პირველად წამოაყენა 1915 წელში; მაშინ ის ამბობდა, რომ რევოლიუცია შესდგება ხანგრძლივი ბრძოლებისა და რამოდენიმე პერიოდისაგან, რომელთა შუა ადგილი ექნება კონტრ-რევოლიუციონურ ქანაობას. წერილში, რომელიც დაბეჭდილია კრებულში „პროტივ ტეჩენია“ და რომლიდანაც ჩვენ არა ერთხელ ამოგვიღია ციტატები, ლენინი, იბრძოდა რა კაუტსკის და ნაწილობრივ ტროცკის თეორიის წინააღმდეგ, ასაბუთებდა თავის კანონს კაპიტალიზმის შესახებ, რომელიც აწესებს მის არა თანაბარ განვითარებას. ლენინი ეყრდნობა ამ კანონს და სწერს წიგნს იმპერიალიზმის შესახებ.

1917 წელში, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ცნობილ წერილში შვეიცარიის მუშების მიმართ ლენინი განმარტავს რუსეთის რევოლიუციის პროგრამას, სადაც ამბობს. რომ „რუსეთის პროლეტარიატს არ შეუძლია მარტო თავისი ძალებით გამარჯვებით დააგვირგვინოს სოციალისტური რევოლიუცია, მას შეუძლია მხოლოდ დაიწყოს ის“.

განსაკუთრებით მწვავედ არის დასმული ეს საკითხი ლენინის მთელ რიგ გამოსვლებში ბრესტის ზავის დროს და ჩვენი პარტიის მეშვიდე ყრილობაზე.

თავის შესანიშნავ წერილში „О левом ребячестве“ ლენინი ლაპარაკობს სახელგანთქმულ „წიწილაზე“. ის აცხადებს: „სოციალიზმი წარმოუდგენელია ამასთან ერთად სახელმწიფოში პროლეტარიატის ბატონობის გარეშე: ესეც ანბანია. ისტორია განვითარდა ისე თავისებურად, რომ 1919 წელს წარმოშვა სოციალიზმის ორი ერთმანეთისაგან განცალკევებული ნახევარი ერთმანეთის გვერდით, თითქოს ეს იყოს ორი მომავალი წიწილა საერთაშორისო იმპერიალიზმის ერთ ნაჭუჭში. გერმანიამ და რუსეთმა 1918 წელს ყველაზე უფრო თვალსაჩინოთ განახორციელეს სოციალიზმის ერთის მხრივ ეკონომიური საწარმოვო და საერთო სამეურნეო, ხოლო მეორეს მხრივ პოლიტიკური პირობები“.

შემდეგ ამას მოსდევს „რენეგატი კაუცკი“ და ამ თემას მიძღვნილი აქვს მთელი თავი.

შემდეგ—ლენინის განცხადება 1919 წლ. 13 მარტს იმის შესახებ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოების სისტემაში, რომ ხანგრძლივად არ შეუძლია იარსებოს ერთად ორივე სისტემამ, რომ ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს ან ერთი, ან მეორე.

სხვა გამოსვლებში ლენინი სპეციალურად განმარტავს, რომ ბოლოს და ბოლოს“ არ ნიშნავს „უპირველეს ყოვლისა“.

შემდეგ ამას მოსდევს მთელი რიგი გამოსვლებისა: 1920 წლ. 27 ნოემბერს სიტყვა მოსკოვის კონცესიების შესახებ, სიტყვა კომინტერნის მესამე კონგრესზე, შენიშვნები სასურსათო გადასახადის პირველდელ გეგმის შესახებ 1921 წ. და ბოლოს უკანასკნელი განცხადებანი, რომელიც განსაკუთრებით უნდა დავიხსომოთ,—მისი პოლიტიკური ანდერძი და ნაწერები 1922—1923 წ.წ. დღიურიდან, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აზრები კოოპერაციაზე და აღმოსავლეთზე. ჩვენ მთლიანად მოვიყვანეთ იგი ჩვენს თეზისებში. ამ ციტატებიდან ცხადია, რომ ილიჩს შესაძლებლად მიაჩნია სოციალიზმის სრული მშენებლობა ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა, თუ ჩვენ უზრუნველყოფილი ვიქნებით საერთაშორისო ჩარევისაგან, თუნდაც მხოლოდ ერთი კოოპერაციის დახმარებით. და ამავე დროს, როგორც საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციონერი, ის ხაზს უსვამს, რომ საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, რომ საერთაშორისო რევოლიუციის გარეშე ჩვენი გამარჯვება არაა მტკიცე, არ არის საბოლოვო.

მოვიგონებ აგრეთვე მის ნაწერებს აღმოსავლეთზე, რომელიც ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილია.

რათა წარმოვიდგინოთ ლენინის მიერ განსაკუთრებით ამჟამად მწვავე საკითხის დაყენება იმის შესახებ, რომ საჭიროა პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება ერთ ქვეყანაში დაუკავშირდეს მის ამოცანებს ყველა სხვა ქვეყნებში, ჩვენთვის საჭიროა განვიხილოთ ლენინიზმის მთელი პროგრამა დაწყებული მისი გამოსვლიდან 1915 წელს და გათავებული მისი გამოსვლებით კოოპერაციის და აღმოსავლეთის შესახებ. საკითხს აქვს დღეს ჩვენთვის არა მარტო თეორეტიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

მოგაგონებთ, რას ამბობდა ლენინი ბროშიურაში „სასურსათო გადასახადის შესახებ“. ის ამბობდა: „შეხედეთ საბჭოთა რუსეთის რუქას. ვოლოგდის ჩრდილოეთით, დონის როსტოვის და სარატოვის სამხრეთ აღმოსავლეთით, ორენბურგის და ომსკის სამხრეთით, ტომსკის ჩრდილოეთით არსებობს თვალუწვდენელი სივრცე, რომელზედაც მოთავსდებოდა ათეული უდიდესი კულტურული სახელმწიფოები. მთელ ამ სივრცეზე გამეფებულია პატრიარქალობა, ნახევრად ველურობა და ნამდვილი ველურობა. დანარჩენ რუსეთის გლეხებით დასახლებულ მიყრუებულ ადგილებში კი? ყველგან, სადაც კი ათეული ვერსის მანძილზე შარა-გზა, ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, უგზოობა აშორებენ სოფელს რკინისგზებისაგან, ე. ი. სწყვეტს მატერიალურ კავშირს კულტურასთან, კაპიტალიზმთან, მსხვილ მრეწველობასთან, დიდ ქალაქთან? განა ყველგან ამ ადგილებში არ სჭარბობს პატრიარქალობა, „ობლომოვშჩინა“, ნახევრად ველურობა?“

„განა წარმოსადგენია,—ამბობს ილიჩი,—რუსეთში ამ მდგომარეობიდან ერთბაშად გადასვლა სოციალიზმში“. და უპასუხებს: „დიახ, წარმოსადგენია რამდენადმე, მაგრამ ერთის პირობით, რომელიც ჩვენ ვიცით სისწორით,—მხოლოდ ერთი უდიდესი დამთავრებული სამეცნიერო მუშაობით. ეს პირობაა—ელექტროფიკაცია. თუ ჩვენ ავაშენებთ მრავალ ათეულ ელექტრონის სადგურებს, თუ ჩვენ გავიყვანთ ელექტრონის ენერგიას სოფელში, თუ ჩვენ გამოვიყენებთ ელექტრომამოძრავებელთა და მანქანების საკმაო რაოდენობას, მაშინ საჭირო არ იქნება გარდამავალი საფეხური, პატრიარქალობიდან სოციალიზმზე გადასასვლელი საშუალედო რგოლები, ან იგი თითქმის არ დაგვჭირდება. მაგრამ ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ეს „ერთი“ პირობა მოითხოვს, სულ მცირე, 10 წელს პირველი რიგის მუშაობისათვის, ხოლო ამ ვადის შემცირება შესაძლებელია თავის მხრივ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარული რევოლიუცია გაიმარჯვებს ისეთ ქვეყნებში, როგორიც ინგლისი, გერმანია და ამერიკაა“.

თქვენ აქ ხედავთ საკითხის წმინდა პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენებას. ვლადიმირ ილიჩი იღებს გეოგრაფიულ რუქას და ამბობს: „შეხედეთ სამხრეთ-აღმოსავლეთით როსტოვიდან, სარატოვიდან, ორენბურგიდან და სხვა, შეხედეთ როგორი პატრიარქალობაა, როგორი ველურობა, როგორ განუვითარებელია საზოგადოებრივი ურთიერთობა და საწარმოო ძალები“. მაგრამ მაინც ეს ქვეყანა, რომელიც ხელიდან გამოვგლიჯეთ ბურჟუაზიას, შეგვიძლია გადავაქციოთ სოციალისტურათ. ეს შესაძლებელია განსაზღვრულ პირობებში. თუ მთელ ქვეყანაში განვითარდება ელექტროფიკაცია. ილიჩი ამგვარად აყენებს საკითხს და არც ერთი წუთით არ გამოჰყოფს მას საერთაშორისო ჩარჩოებიდან. ლენინი—საერთაშორისო რევოლიუციონერია. მან იცის, რომ საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით და რომ სრული გარანტია იმისა, რომ არ მოხდება ბურჟუაზიულ ურთიერთობის, აღდგენა, შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ გამარჯვებით საერთაშორისო მასშტაბით. ამასთან ერთად ის იცავდა და თავის წერილებში ატარებდა იმ აზრს, რომ ჩვენი ქვეყანა მთელი მისი პატრიარქალობით, ობლომოვშჩინით და ველურობით შეიძლება ვარდაიქმნას სოციალისტურ ქვეყნად. თავის უკანასკნელ სიტყვაში მოსკოვის საბჭოში მან დაგვიტოვა თავისი დიადი ანდერძი: „გარდავქმნათ ახალი ეკონომიური პოლიტიკის რუსეთი სოციალისტურ ქვეყანად“.

ამჟამად ამ ანდერძს ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა ყველა ჩვენთვის. საკითხი ევროპაში კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის შესახებ არა სისწორით ისახება ჩვენი პარტიის ზოგიერთ წევრების, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის შემეცნებაში, და იგი აშორებს მას სწორ პოზიციას. ჩვენ, როგორც პარტიამ, უნდა ვიმუშაოთ ლენინის იმ დებულების განსამარტავად, რომ ჩვენ ქვეყანაში შესაძლებელია სოციალიზმის შენება კაპიტალისტურ გარემოცვაშიაც კი. ჩვენ ყველამ ვაღიარეთ კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია ევროპაში, ჩვენ ყველამ ვაღიარეთ, რომ მსოფლიო რევოლიუციის საქმე უფრო ნელა წავა. ნიშნავს თუ არა ეს რუსეთისათვის, რომ აუცილებელია წვრილ-ბურჟუაზიულად გადაგვარება, ნიშნავს თუ არა ეს შეჩერებას ჩვენს რევოლიუციონურ განვითარებაში ან უკან დაბრუნებას.

ორი საფრთხე

უნდა ითქვას, რომ ასეთი მსჯელობა არ არსებობს, როგორც ჩამოყალიბებული მიმდინარეობა—ასეთი განწყობილება მხოლოდ ზოგან არსებობს ჰაერში და ასეთი განწყობილება სავსებით გასაგებია რევოლიუციონურ მოძრაობის ასეთ სტადიაში.

არსებობს ორი საფრთხე დღევანდელ პირობებში და იგი მდგომარეობს შემდეგში:

ზოგჯერ ამ განწყობილებას აყალიბებენ ასე, თუ მართლაც საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო რევოლიუციის პირობებში, თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ მსოფლიო რევოლიუცია გადადებულია დიდი ხნით, თუ ჩვენ არა გვაქვს საკმაო დახმარება გარედან, განა შეგვიძლია ჩვენ რუსეთში დავამყაროთ სოციალიზმი? ნუ თუ ჩვენ მივადექით იმ დებულებას, რომელიც ასე მკაფიოთ განსაზღვრა და სასაცილოდ აიღო ასეთი განწყობილება ერთ-ერმა ამხანაგმა, რომ ჩვენ ეხლა დროა ვიფიქროთ: „საჭიროა თუ არა ჩვენთვის ყველაფრის თავის განებება. შეიძლება დღევანდელი მდგომარეობა ნიშნავს, რომ რუსეთის კომპარტიას არ შეუძლია შეასრულოს თავისი ისტორიული მისია, როგორც ბოლშევიკურ პარტიას, როგორც საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციონერების პარტიას. აი ერთნაირი სულიერი განწყობილება, რომელიც უკვე შემჩნეულია ზოგან და თავსაც იჩენს ზოგჯერ.

მეორენაირი შესაძლებელი განწყობილებაა ის, რომელსაც ჩვენ უწოდებთ თეზისებში ნაციონალური შემოფარგვლის საფრთხეს. საქმე ეხება ისეთ განწყობილებას, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი სიტყვებით: რა საქმე გვაქვს ჩვენ საერთაშორისო რევოლიუციასთან—ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ საკუთარი საქმე. ჩვენ გვაქვს თვალუწვდენელი ქვეყანა, ჩვენ გვაქვს ძალაუფლება, ჩვენ შეგვიძლია საბოლოოდ განვამტკიცოთ ჩვენი გამარჯვება, ჩვენ შეგვიძლია ბოლოსდაბოლოს დიდი მნიშვნელობა არ მივაკუთვნოთ იმას, რასაც ადგილი აქვს საერთაშორისო ასპარეზზე.

ჯერ კიდევ არ არის გარკვეულად გამოხატული ასეთი განწყობილება ან მიმართულება, მაგრამ ასეთი რამ დაფრიალებს ჰაერში. თუ არ შეიძლება ვილაპარაკოთ მის ჩამოყალიბებაზე, უნდა გაუწიოთ ანგარიში მის ჩასახვის საშიშროებას. სწორედ ამისათვის ვართ ჩვენ პარტია, ლენინის მიერ შექმნილი, რომ გავითვალისწინოთ რაც მოხდება და დავინახოთ შესაძლებელი საფრთხე. ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ ასეთი განწყობილება, უნდა მივიღოთ წინასწარი ზომები მისი თავიდან ასაცილებლად. ჩვენ დაჟინებით უნდა მოვაგონოთ ყველა ჩვენს ამხანაგებს, რომ ჩვენ ვრჩებით საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციონერებათ, რომ ჩვენ მოველით საბოლოო გამარჯვებას მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, რომ ჩვენ ეს არ გვავიწყდება და არც შეგვიძლია დავივიწყოთ, თუნდაც ერთის წუთით და რომ ერთ ქვეყანაში გამარჯვებით ჩვენ მივაღწევთ მაქსიმუმ შესაძლებლობას სხვა ქვეყნებში რევოლიუციონურ მოძრაობის განსავითარებლად.

ჩვენს წინაშე დასმულია აუცილებლობა უზრუნველვყოთ ჩვენი თავი იმ ორ შესაძლებელ საფრთხისაგან თვით ჩვენს წრეში, რომელზედაც უკვე ვილაპარაკე.

დახმარება უნდა გაუწიოთ კომინტერნს

შემდეგ ჩვენს წინაშე სდგება ამოცანა განსაკუთრებით დაუახლოვდეთ კომინტერნს, გაუწიოთ მას განსაკუთრებით მხურვალე დახმარება, ისარგებლოს თეორეტიულ ლენინიზმით და ჩვენი პრაქტიკული პოლიტიკური გამოცდილებით, განსაკუთრებით იმ გამოცდილებით, რომელიც მივიღეთ 1907—1914 წ. წ. რათა დახმარება გაუწიოთ მას გამოიყვანოს საერთაშორისო პროლეტარიატი დღევანდელ მძიმე მდგომარეობიდან.

რა თქმა უნდა, თვითეულ ჩვენგანისათვის გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა გველაპარაკა აღმაფრთოვანებელი კილოთი, გაგვეყვანა მასები ბრძოლაში, გაგვეწოდებია ისინი იერიშების, ბრძოლისათვის და სხვა. გაცილებით უფრო ძნელია საერთაშორისო ორგანიზაციას ავაშოროთ მოუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმა, შევაჩეროთ იგი რევოლიუციონურ ალტკინებაში, ვუჩვენოთ მას მდგომარეობას მთელი სიძნელე, რათა მივაღწიოთ საჭირო შედეგებს. ეს ამჟამად სრულიად აუცილებელი სამკურნალო საშუალებაა, რათა კომინტერნი დარჩეს ბოლშევიკურ ორგანიზაციათ.

რა თქმა უნდა, პლენუმების რეზოლიუცები გლეხობის, კოლონიების და სპეციალურად ბოლშევიზაციის საკითხებზე,—განმსჭვალულია ლენინიზმით, ყველა ეს რეზოლიუციები სავსებით შეეფერება იმ ამოცანებს, რომლის წინაშე სდგას კომინტერნი.

საჭიროა, რათა ჩვენი პარტიის მოწინავე ამხანაგებმა თვითონ დაუკავშირონ თავიანთ შეგნებაში ჩვენი გლეხური პოლიტიკა კომინტერნის პოლიტიკას და გააღრმაონ და გააფართოვონ ეს მუშაობა. ამ დარგშიაც თქვენ აგრეთვე გაიგონებთ მრავალ გადაჭარბებას. თეზისების გამოქვეყნების გამო მე მივიღე ერთი ამხანაგისაგან წერილი, რომელშიაც ის მეკითხება: „როგორია თქვენი აზრი დ. ქართალია თუ არა, რომ მტკიცე გადახრა მარჯვნისაკენ სოფლად ჩვენი პარტიის პოლიტიკის საკითხში აიხსნება საერთაშორისო პირობებით“. ამ შეკითხვაში საკითხის სისწორით გაგების ელემენტები იხლართება სრულიად არასწორ ელემენტებთან.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი პოლიტიკა სოფლად რამოდენიმეთ დაკავშირებულია საერთაშორისო მდგომარეობასთან, მაგრამ არ არის სწორი, რომ იგი წარმოადგენს მარჯვნივ გადახრას. ეს მარჯვნივ გადახრა კი არაა—ეს არის ლენინური გაგრძელება პოლიტიკის, რომელიც ჩვენმა პარტიამ დაიწყო 1917 წელს და უფრო ადრე. აქ არავითარი მარჯვნისაკენ გადახრა არ არის.

რევოლიუცია რომ უფრო ჩქარა განვითარებულიყო, ჩვენ მაინც უნდა განგვეხორციელებია გლეხობასთან კავშირის დაჭერის პოლიტიკა. ჯერ კიდევ კომინტერნის მეორე კონგრესის დროს, როდესაც ლენინს ეგონა, რომ რევოლიუციის ტალღები ზღვით მიიწევენო, ის მაშინაც გვასწავლიდა ჩვენ, რომ სწორედ პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენ ხელთ გვექნება ახალი დიდი შესაძლებლობანი, რათა დავიპყროთ გლეხობა, როგორც მოკავშირე. გასაგებია, რომ რევოლიუციის უფრო სწრაფად განვითარების პირობებში ჩვენში ზოგი რამ სხვაგვარად წავიდოდა, მაგრამ ჩვენი მთავარი პოლიტიკა დარჩებოდა იგივე. იგი მაინც იქნებოდა მიმართული მუშათა კლასსა და გლეხობის შორის კავშირის განმტკიცების აუცილებლობისაკენ.

აი ამიტომ უნდა მოვსპოთ ასეთი არევ-დარევა შემეცნებაში. არ არის პარტიის პოლიტიკის მარჯვნისაკენ გადახრა,—არის სწორი პოლიტიკა იმ პარტიის, რომელმაც ანგარიში გაუწია კლასთა ურთი ერთობას ჩვენს ქვეყანაში, რა თქმა უნდა კლასთა ურთიერთობა ჩვენს ქვეყანაში უნდა იქნას ჩვენ მიერ სისწორით შეფასებული მხოლოდ სათანადო საერთაშორისო პერსპექტივის მიხედვით—ვინაიდან ჩვენ ვართ საერთაშორისო პროლეტარიატის პარტია. მაგრამ ეს არ სცვლის ძირითადს: ჩვენი პოლიტიკა გათვალისწინებულია სისწორით.

ევროპის კომპარტიების სნეულებანი

თქვენ იცით, რომ დღევანდელ გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებით, უნდა წარმოშობილიყო ერთგვარი ავადმყოფური პროცესი კომინტერნის სხვადასხვა სექციებში. უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით ძნელი იყო მდგომარეობა ჩეხო-სლოვაკიის პარტიაში. იქ იბრძოდა მიმდინარეობა, რომელთა წარმომადგენლებიც შეიძლება პირობით დავახასიათოთ, როგორც ლიკვიდატორები, როგორც პარტიელები,

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № № 100, 101, 102.

საინფორმ[illegible]-განყოფილების
კომპლექტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხკომების ყრილობა

მეშვიდე სხდომა

მეაბრეშუმეობის შესახებ

(ამხ. ქუთათელაძის მოხსენება)

სოფლის მეურნეობის სხვა დარგთა შორის მეაბრეშუმეობას მთავარი ადგილი უჭირავს. აბრეშუმი, გარდა იმისა, რომ მას შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ხმარობენ, წარმოადგენს აგრეთვე მთავარ საექსპორტო საქონელს და მეტად ხელსაყრელია გლეხობისათვის.

მეაბრეშუმეობის განვითარებას ხელი შეუწყო ერთის მხრივ საბრეშუმო ფონდის შექმნამ, ხოლო მეორეს მხრივ აბრეშუმის მწარმოებელთა თესლით უზრუნველყოფამ. სამწუხაროთ, აბრეშუმის გასაღების საქმე ვერ მოვაგვარეთ რიგიანათ. აბრეშუმის მწარმოებელი უცხოეთში ნედლ პარკში იღებს ფუთში 30 მანეთს, ჩვენს მწარმოებელს კი უწევს 19—20 მან. ფუთში.

აბრეშუმის მწარმოებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, მთავრობის დადგენილებით, დაარსდა იურიდიული პირის უფლებით აღჭურვილი კოოპერატიული საზოგადოება „აბრეშუმი“. ამ საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს მეაბრეშუმეობის, როგორც წარმოების, ისე გასაღების საქმეს, მანვე უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ აბრეშუმის მწარმოებლებს მიაწოდოს კარგი ღირსების თესლი, თუთის ნერგები და სხვა.

ჩვენ უკვე დავარიგეთ 85 ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი. განზრახული გვაქვს კიდევ დავარიგოთ. შარშან ჩვენმა გლეხმა ნაკლები აიღო თავის პარკში, ვიდრე უცხოეთის მეაბრეშუმემ. მიღებულია ზომები, რომ მომავალში ამას არ ექნეს ადგილი.

ამბობენ, რომ ბუნებრივ აბრეშუმს ჰყავს მტერი ხელოვნური აბრეშუმის სახით. ეს არ არის მართალი. მართალია, ხელოვნური აბრეშუმი საკმაო რაოდენობით სდდება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იგი ვერ უწევს მეტოქეობას ბუნებრივ აბრეშუმს. ხელოვნურ აბრეშუმს აკეთებენ ნახერხისაგან და ხე-ტყის მასალისაგან. ხელოვნური აბრეშუმის ძაფი მეტად მსხვილია, საქსოვათ არ ვარგა, იგი გამოდგება მხოლოდ „გალსტუხებისათვის“ და გაროხზებისათვის. ერთი სიტყვით თვისება, ხარისხი ხელოვნური აბრეშუმისა გაცილებით მცირეა, ვიდრე ბუნებრივ აბრეშუმისა.

ჩვენ განზრახული გვაქვს თესლის დამზადება და ნაწილობრივ ძაფის გადამუშავება ვაწარმოოთ ადგილობრივ. ვფიქრობთ გამოვიწეროთ იტალიიდან 250 ჯარა. ძაფის გადამუშავება გვინდა ვაწარმოოთ არა ფაბრიკული, არამედ შინამრეწველობის წესით.

მერვე და მეცხრე სხდომა

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

— ამხანაგებო! თქვენი ყრილობა შეიკრიბა ისეთ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია სოფლისაკენ.

ჩვენი სახელმწიფო არის, უმთავრესათ, გლეხური სახელმწიფო და, ამიტომ, გასაკვირველიც არ არის თუ გლეხთა საკითხს ჩვენ მეტად დიდ ყურადღებას ვაქცევთ.

ჩვენი სახელმწიფო ეყრდნობა ორი კლასის კავშირს, თანამშრომლობას. ჩვენი მიზანია მუშების და გლეხების ურთიერთობის მოგვარება, მათი კავშირის განმტკიცება.

ეს არის მთავარი ამოცანა. ამ მთავარი ამოცანის განხორციელებისაკენაა მიმართული მთელი ჩვენი მუშაობა და საქმიანობა.

სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება, მრეწველობის აღდგენა-განვითარება, სესხის საქმის მოგვარება, მიწათ-მოწყობა და სხვა ჩვენი ღონისძიებები მიმართულია სწორეთ ამ კავშირის დაცვისა და განმტკიცებისაკენ.

ჩვენი მიზანია შევქმნათ, დავამყაროთ ისეთი ურთიერთობა გლეხებსა და მუშათა კლასს შორის, რომ მომავალში შეუძლებელი შეიქნეს მათი კავშირის დარღვევა.

გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სოფლის საჭიროებას, გლეხობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გაფრთხილებთ, ამხანაგებო, რომ გლეხკომები არ დაუპირდაპირდენ საბჭოებს და კოოპერაციას. თუ ასეთი დაპირდაპირება მოხდა, მაშინ ჩვენ არ გვექნება მუშების და გლეხების ხელისუფლება.

საბჭო, ალმასკომი—ესაა სახელმწიფოებრივი დაწესებულება. მათ მინდობილი აქვთ მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიური უფლებების დაცვა. თუ გლეხკომებმა მიითვისეს საბჭოების და ალმასკომების უფლებები, მაშინ გლეხკომები გადაიქცევიან სახელმწიფოებრივი ხასიათის დაწესებულებებათ.

გლეხკომებმა არ უნდა შეასუსტონ და არ უნდა შეუშალონ ხელი საბჭოთა დაწესებულებების მუშაობას, აგრეთვე არ უნდა არსებობდეს მეტოქეობა გლეხკომებსა და კოოპერაციის შორის.

გლეხკომებმა არც პოლიტიკური და არც ეკონომიური უფლებები არ უნდა მიიკუთვნონ. თვითმოქმედებისა და თაოსნობის ნიადაგზე თქვენმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ როგორც საბჭოების, ისე კოოპერაციის მუშაობას და საქმიანობას.

მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ გამარჯვების მოპოვებას და ნამდვილი ერთობის დამყარებას.

სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გლეხკომები ალაგ-ალაგ მეტოქეობას უწევენ საბჭოებს და კოოპერაციას. გლეხკომები არ უნდა ჩაერიონ ისეთ საქმეში, რაც მათ მოვალეობას არ შეადგენს. გლეხკომებმა ისეთ საქმეს უნდა მოჰკიდონ ხელი, სადაც სახელმწიფო ორგანოების და კოოპერაციის მუშაობა მოისუსტებს, მოიკოჭლებს.

გარდა ამისა, გლეხკომებმა უნდა შეაკავშირონ ღარიბი და საშუალო გლეხობა კულაკების წინააღმდეგ. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჰქმნის პირობებს ბურჟუაზიის აღორძინებისათვის სოფლად.

შესაძლებელია, რომ ბობოლა გლეხობამ მოინდომოს საბჭოებში მოკალათება, ღარიბი გლეხკაცობის დამორჩილება და სხვა. გლეხკომებს ევალებათ მიიღონ ზომები ამ მოვლენის წინააღმდეგ.

აი, ამხანაგებო, როგორი უნდა იყოს, ჩვენის აზრით, გლეხკომების მუშაობა. გისურვებთ, რომ კარგად გაგეთვალისწინებინოთ მდგომარეობა, როგორც ჩვენში, ისე ევროპაში.

გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას მუშების და გლეხების კეთილმდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში (მქუხარე ტაში).

მოხსენებები ადგილებიდან

ყრილობამ მოისმინა მოხსენებები თითქმის ყველა მაზრებიდან. ორატორები აღნიშნავდენ, რომ გლეხკომებს თითქმის ყველგან აქვთ უძრავი ქონება და საწარმოო დაწესებულებები: წისქვილები, სისადილოები, ქარხნები, ფურნე, სავაჭროები და სხვა.

გლეხკომების მუშაობა ადგილებზე გამოიხატება იმაში, რომ ისინი კოლექტიური შრომით და უსასყიდლოდ აკეთებენ ხიდებს, გაჰყავთ გზები, საზოგადოებრივი ძალებით მიწებს უხნავენ ქვრივ-ობლებს და ეხმარებიან გლეხებს სესხით.

ყველა გლეხკომებს აქვთ საკუთარი ფონდი, რომელიც შესდგება შემოწირულებისა და პროცენტული ანარიცხებისაგან; გლეხკომებს თავის ფონდებში აქვთ როგორც ნაღდი ფული, ისე ჭირნახული: სიმინდი, ღვინო, ლობიო, ხორბალი და სხვა.

გლეხკომები თითქმის ყველა მაზრებში გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ. მათ მუშაობას ზოგიერთ რაიონებში აფერხებს ის გარემოება, რომ ნათლად გამორკვეული არ არის დამოკიდებულება ხელისუფლების ორგანოებსა და გლეხკომებს შორის.

ამასთანავე მუშაობას ხელს უშლის ისიც, რომ გლეხკომებს არ ჰყავთ სათანადოთ მომზადებული ინსტრუქტორები. ზოგიერთი ორატორები საჭიროთ სცნობენ მოკლევადიანი კურსების დაარსებას ინსტრუქტორთა მოსამზადებლად.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც მოხსენებებიდან სჩანს, გლეხკომებში ყველგან არ არიან ჩაბმული ქალები.

მოხსენებების შემდეგ იწყება კამათი, რომელიც გრძელდება მეათე სხდომაზე.

მეთერთმეტე სხდომა

ამხ. პარკაძის სიტყვა

ამხ. პარკაძე აღნიშნავს, რომ მოხსენებებიდან უპირველეს ყოვლისა გამოირკვა ის, რომ მუშაობა ადგილებზე საერთოდ ფრიად დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად იმისა, რომ გლეხკომების მუშაობას ხელს უშლიდა მრავალი დაბრკოლებები.

ვაჭრობის საკითხმა აქ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. ის გარემოება, რომ ზოგიერთ გლეხკომებს კარგათ აქვთ დაყენებული სამეურნეო საქმიანობა, შრომითი დახმარება და სხვა, ამტკიცებს იმას, რომ ვაჭრობის გარეშეც შესაძლებელია გლეხკომების მუშაობის სასურველათ დაყენება.

ამხ. პარკაძე ამბობს, რომ მისი აზრით, გლეხკომებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ფონდების აღრიცხვისა და ანგარიშების წარმოების საქმეს. ამას გარდა ყურადღება უნდა მიექცეს მიწების კოლექტიურათ დამუშავებას.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დავალებული აქვს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს გლეხკომებს საფონდო მიწების გადაცემით. ჩვენ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რომ ეს დადგენილება გატარდეს ცხოვრებაში.

ამხ. კ. ხომერიკის სიტყვა

ამხ. კ. ხომერიკი ეხება გლეხკომების ნაკლს და აღნიშნავს, რომ მრავალი გლეხკომების შემადგენლობა წმინდა პარტიულია. ეს დაუშვებელია. საჭიროა გლეხკომებში ჩავაბათ უპარტიოები, რომლებიც ნდობით და სიყვარულით სარგებლობენ გლეხების თვალში.

გლეხკომები უნდა მოვაწყოთ კოლექტიური ნებაყოფლობის ნიადაგზე. თუ გლეხების უმრავლესობა წინააღმდეგია დაარსდეს გლეხკომი ამა თუ იმ თემში ან სოფელში, იქ, რა თქმა უნდა, გლეხკომი არ მოეწყობა.

გლეხკომებში აქა-იქ დარჩენილია მავნე და არასაიმედო პირები ან ისეთები, რომლებიც ზედმეტ ტვირთად ითვლებიან გლეხკომში. აუცილებლათ საჭიროა გაიწმინდოს გლეხკომები ასეთი პირებისაგან.

სარევიზიო კომისიების მუშაობა ყველგან მოისუსტებს. საჭიროა მათი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

სოფლის გლეხკომი მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს გლეხობას. ამისათვის საჭიროა, რომ მან ორ-სამ თვეში ანგარიში ჩააბაროს წევრთა საერთო კრებას.

გლეხკომმა თავისი მუშაობა უნდა შეუთანხმოს ადგილობრივ ალმასკომს. დიდი მნიშვნელობა აქვს ანგარიშის წარმოებას გლეხკომების მხრივ. არ არის საჭირო, რომ გლეხკომმა შემოიღოს ბუხჰალტერია, მაგრამ მარტივი ანგარიშის შემოღება აუცილებელია.

თვითეულმა გლეხკომმა უნდა აწარმოოს გეგმიანი მუშაობა. ამისათვის საჭიროა ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, ე. ი. წინასწარი გათვალისწინება როგორც შემოსავლის, ისე გასავალის.

ჩვენი გამარჯვება,—სთქვა დასასრულ ამხ. ხომერიკმა,—დამოკიდებულია ჩვენს შეკავშირებაზე, ორგანიზაციულად დარაზმვაზე. კომპარტია, კოოპერაცია, პროფკავშირი, გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტი,—აი ის ორგანიზაციები, რომლებიც გვიხსნის ჩვენ ყოველგვარი გაჭირვებისაგან.

არჩევნები

ამხ. ხომერიკის სიტყვის შემდეგ ყრილობა ირჩევს სრულიად საქართველოს გლეხკომების ცენტრალურ ბიუროს შემდეგი შემადგენლობით:

ცენტრალური ბიურო

ალშიბაია (აფხაზეთიდან), დიასამიძე (აჭარიდან), ცხოვრებოვი (სამხრეთ-ოსეთიდან), ვაშალომიძე (ოზურგეთიდან), ხარებაძე (ქუთაისიდან), გაბუნია (ზუგდიდიდან), მდინარაძე (სენაკიდან), ანასაიანი (ახალქალაქიდან), ჭყონია (ახალციხიდან), ნონიაშვილი (გორიდან), დარბაიძე (შორაპნიდან), ბურდული (დუშეთიდან), ყოჩიაშვილი (სიღნაღიდან), სეფაშვილი ალექსი (თელავიდან), სტამბოლიძე (ბორჩალოდან), სიმონიშვილი (თბილისიდან), ჩიქოვანი (რაჭიდან) და ასლანიკაშვილი (ლეჩხუმიდან).

სარევიზიო კომისია

გიორგაძე, ნასარიძე, მუსელიანი, გოგოლაშვილი ნინო და წიწვიაძე ერასტი.

არჩევნების დამთავრების შემდეგ ყრილობა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

გუშინ შესდგა ცენტრალური ბიუროს პირველი სხდომა, რომელზედაც არჩეული იქნა ბიუროს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ხომერიკი, პარკაძე, ბერეკაშვილი, მესხი, სურგულაძე, გაგლოევი და მგალობლიშვილი.

მელნიც ჯერ კიდევ არ გამხდარან ბოლშევიკებათ და როგორც ბოლშევიკები, მაგრამ ბოლშევიკები ზოგჯერ ერთგვარი შეცდომებით. ჩვენ საქმე წავიყვანეთ ისე, რათა შეგვექმნა ორ უკანასკნელ მიმდინარეობის ბლოკი ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

ჩვენის აზრით ჩვენი ხაზი ამ საკითხში სწორი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ის ცნობები, რომელიც ჩვენ დღეს მივიღეთ, ამტკიცებს, რომ ამ ბლოკის შედგენა ხერხდება. ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ლიკვიდატორების ლიდერები გამოდიან პარტიიდან. ეს არ არის ცუდი. ჩვენი დახმარებით შედგენილი ბლოკი ერთსულოვნად მუშაობს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იგი გამოიყვანს პარტიას ფართო გზაზე.

ჩვენ გვინდა რამოდენიმე სიტყვა ვსთქვათ გერმანიის პარტიაში შემჩნეულ აზრთა სხვადასხვაობასა და სიძნელეთა შესახებ. იქ თვითეული ტაქტიკური გაკვეთილი ძალიან ძვირად გვიჯდება, ვინაიდან ბრანდლერის გამოცდილებას გამოვლილი პარტია იძულებული იყო ერთბაშად შეეცვალა თავისი ტაქტიკა და ეხლა „პირი დაიწვა რა რძით, სულს უბერავს წყალს“ და ზოგჯერ საჭიროებს სერიოზულ გაკვეთილებს. „მემარცხენეობის“ ბავშვური სენი ჯერ კიდევ თავს იჩენს.

რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რათა ჩვენ მივსცეთ ეხლა მთლიანი რამ მსოფლიო მუშათა კლასის ავანგარდს. ყველაზე მნიშვნელოვანია, რათა ჩვენ არა მარტო რუსეთის მუშათა კლასს შორის მუშაობა დაუკავშიროთ საერთაშორისო პოლიტიკას და ჩვენ მუშაობას რუსეთში, არამედ ჩვენი მიმდინარე ამოცანებით დაუკავშიროთ საერთაშორისო პროლეტარიატის საერთო ამოცანებს. ვინაიდან უცხოელ მუშა-კომუნისტს ძალიან აინტერესებს ის, რომ მსოფლიო რევოლუციის ტემპის განელება გავლენას ახდენს რუსეთზე—იქნება თუ არა აქაც განელება, გადაგვარდება თუ არა პარტია, უარს იტყვის თუ არა ის თავის პროლეტარულ სულისკვეთებაზე, ჩამოშორდება თუ არა ის ლენინიზმს. ჩვენთვის საჭიროა აქ ჩამოვაყალიბოთ შეხედულებათა ისეთი დაკავშირება, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა არა მარტო ჩვენი პარტიისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ საკითხს გადავსჭრით. იგი ძალიან ძნელია, ჩვენ ზედმიწევნით უნდა დავამუშაოთ იგი, ჩვენ უნდა განვაგრძოთ ჩვენს ქვეყანაში ის პოლიტიკა, რომელიც კომინტერნში დავიწყეთ. საკითხის შემდეგი დამუშავება დააკავშირებს ქვეყნის შიგნივ ჩვენი მუშაობის ხაზს კომინტერნის საერთაშორისო ორგანიზაციის ხაზთან. ჩვენი შინაური მუშაობის ხაზის შესახებ ჩვენ აშკარად ვსთქვით, რომ ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ყოველი წუთით, ყოველი წამით სოციალიზმის შემდეგი მშენებლობისათვის. ჩვენი ქვეყნის მთელი ტეხნიკური ჩამორჩენილობის დროს ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა ავაშენოთ და ავაშენებთ სოციალიზმს, მიუხედავათ საერთაშორისო რევოლუციის ტემპის შენელებისა. ჩვენ ვსთქვით, რომ საბოლოო გამარჯვება დამოკიდებულია საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ რევოლუციის შენელებული ტემპი შორს არ გადადებს თვითგამარჯვებას, არამედ გადადებს მხოლოდ მის ვადას. ჩვენ ვიყავით და დავრჩებით საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციონერებად. აი რისი თქმაც გვსურს ჩვენ მთელი ჩვენი მუშაობით.

საერთაშორისო კომუნიზმის მძიმე გზა

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს წინაშე კიდევ უდიდესი სიძნელეებია. იგი ექნებათ გერმანელ მუშა-კომუნისტებსაც, რომელნიც განიცდიან ეხლა ისეთს პერიოდს, რომელიც რამდენიმე წააგავს ჩვენს ივლისის დღეებს, როდესაც მათ წამოუყენებენ ყოველგვარ ბრალდებას, როდესაც მათ ყოველმხრიდან თავს დაესხმიან. ჰინდენბურგი ისარგებლებს ყოველი შემთხვევით, რათა დაახრჩოს კომუნისტები. გერმანიის სოციალ-დემოკრატია ეტყვის გერმანელ მუშებს: „განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ არავითარ მსოფლიო რევოლუციას ადგილი არა აქვს. თქვენ ტყუილ-უბრალოთ მიდიხართ ციხეებში და კატორღაში, ვინაიდან რევოლუცია არ არის“.

შემიძლია მოგაგონოთ, რომ ასეთსავე მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ ოდესღაც—რუსი ბოლშევიკები.

ჩვენ ამხანაგებს, მუშებს აპატიმრებდნენ, ჰყრიდენ ციხეში, აგზავნიდენ კატორღაში, მენშევიკები კი აცილებდენ მათ გესლიანი სისინით: „რატომ მიდიხარ ტყუილ-უბრალოთ კატორღაში. რევოლუცია—ქიმერაა, შენ მიდიხარ კატორღაში არა რევოლუციისათვის, არამედ ლენინისათვის“. რაღაც ამგვარივე ხდება დღეს გერმანიაში. ჩვენში, ხშირად, ბოლშევიკს ციხეში აძლევდენ წასაკითხავად სახარებას, ხოლო ეხლა კომუნისტს გერმანიაში აძლევენ წასაკითხავათ „ფორვერტსს“, ან სოციალ-დემოკრატიულ ბროშიურას, რომელიც მოუთხრობს, რომ თვით მოსკოვმაც „აღიარა“ სტაბილიზაცია, რომ რევოლუცია გათავდა, რომ რევოლუცია ქიმერაა, რომ მუშები ტყუილ-უბრალოთ ლპებიან ციხეებში და სხვა.

რა თქმა უნდა გერმანელ კომუნისტებს მოელით დიდი გაჭირვება და მორალური ტანჯვა. შეხედეთ კომინტერნის ბრძოლის პირობებს ამჟამად. ჩვენში, რუსეთში ეს პირობები ძალიან მძიმე იყო, განსაკუთრებით 1909—1911 წ.წ. მძიმე იყო არალეგალური მუშაობა. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ კომუნისტები ამჟამად მთელ რიგ ქვეყნებში სრულიადაც არ იმყოფებიან უკეთეს პირობებში. ისინი, ხშირად უფრო მძიმე პირობებშიაც იმყოფებიან. ჩვენ ეხლა შევეჩვიეთ იმას, რომ თითქმის ყოველ დღე ხვრეტავენ კომუნისტებს ხან აქ, ხან იქ, რომ თეთრი ტერორი მძვინვარებს ისეთნაირად, რომელიც ჩვენ არც კი დაგვესიზმრებოდა. 1905—1906 წლის შემდეგ ჩვენ ჩაყრილი ვიყავით იატაკ ქვეშ. მაგრამ მაინც საერთაშორისო კომუნიზმი ევროპის მასშტაბით განიცდის ამჟამად კიდევ უფრო მძიმე ხანას. ევროპის კომუნისტები კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან იმიტომაც, რომ მათ არა აქვთ ისეთი მტკიცე ტრადიციები, როგორიც თავის დროზე გვქონდა ჩვენ და ისინი ვერ სარგებლობენ ისეთივე თანაგრძნობით, რომლითაც ერთ დროს სარგებლობდენ რუსეთის ბოლშევიკები ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ზოგიერთ ფენებში. მართალია, ბრძოლა გაადვილებულია უკვე იმით, რომ მათ ზურგს უმაგრებს ჩვენი გამარჯვებული რევოლუცია, რომ მათ ზურგს უმაგრებს ჩვენი რევოლუციის გამოცდილება, მათ ზურგს უმაგრებს კომინტერნი. ზოგიერთ რამეში ისინი ჯერ კიდევ სარგებლობენ დიდი თავისუფლებით. მაგრამ მთლიანად ისინი იმყოფებიან გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში, ვიდრე 1908—1912 წლებში.

რუსეთის კომპარტია—საერთაშორისო რევოლუციის პარტიაა

აი საკითხების მთელი ჯამი, რომელიც ჩვენს წინაშეა დასმული. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელებმა, უწინარეს ყოვლისა თვითონ შეითვისონ ამ პოლიტიკური დაკავშირების აუცილებლობა. ეს საშუალებას მისცემს თვითეულ ჩვენგანს მუშაობის თავის დარგში აკეთოს თავისი პატარა, ამასთან ერთად დიდი საქმე, აგრეთვე იმათაც, ვინც დაყენებული არიან სხვა პოსტებზე, აკეთონ იგივე საქმე საერთაშორისო მასშტაბით. ჩვენი საკუთარი ამოცანების და კომინტერნის ამოცანების დაკავშირების გარეშე ჩვენ, როგორც ბრმები, დავიბნევოდით წყვდიადში. ჩვენ გვინდა გახელილი თვალებით უცქიროთ მსოფლიოს და გავიგოთ ის, რაც ხდება ჩვენ თვალწინ.

1921 წელს ლენინი სწერდა: „გლეხობასთან სწორი ურთიერთობას 10—20 წელიწადი და გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით უზრუნველყოფილია, საერთაშორისო რევოლუციის ტემპის განელების დროსაც კი“.

რა თქმა უნდა ეს ვადა არ არის სავალდებულო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება უფრო ადრე და რევოლუციაც სხვა ქვეყნებში უფრო ადრე მოხდება. მაგრამ თუ საჭირო იქნა, თუ ეს არ მოხერხდა, წინააღმდეგ ჩვენი იმედისა, იმ 10—20 წლის განმავლობაში, ჩვენ მაინც ვიმუშავებთ სისტემატიურად რევოლუციის ტემპის განელების დროსაც. თუ საჭირო იქნება, ჩვენ კიდევ უფრო მეტს ვიმუშავებთ.

ჩვენი პარტია, როგორც იყო, ისევე რჩება კომინტერნის მოწინავე ნაწილად, მუშათა მასების, საერთაშორისო პროლეტარიატის, საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციის პარტიად. (ტაში).

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მომწესრიგებელი კომისიის მუშაობა

ლენინაკანიდან თბილისში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მომწესრიგებელ შერეულ კომისიის მუშაობის შესახებ აცნობა შემდეგი.

— 27 და 28 აპრილს საზღვრების მომწესრიგებელ შერეულ კომისიას პლენარული სხდომა ჰქონდა ლენინაკანში, ამ სხდომაზე დაწესებული იქნა წესი საზღვარის გავლებისა მდინარე კარახან-ჩაის სათავიდან უჩტო-პოლიარამდი. ამ რაიონის ჩამოვლის შემდეგ დამთავრდება მუშაობა საბჭოთა სომხეთის და ოსმალეთის საზღვარზე. ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ კომისია იმუშავებს საბჭოთა საქართველოს და ოსმალეთის საზღვარზე.

კომისიის მუშაობა ნორმალურად მიდის. ამინდი ხელს უწყობს მუშაობას და შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ კომისია მუშაობას დაამთავრებს შემოდგომამდი.

დასასრულ ამხ. კარკლინმა განაცხადა, რომ საკავშირო კომისიის განკარგულებაში მოვიდა ტოპოგრაფიული რაზმი, რომელიც ახლო მომავალში შეუდგება გავლილი რაიონების ასახვას.

სააგარაკო სეზონისათვის

ადგილების განაწილება მუშათა დასასვენებელ სახლებში

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა დაეთმოს 1925 წლის სეზონში დასასვენებელ სახლებში:

თბილისის პროფესიონალურ ორგანიზაციებს:

1. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირს—35 საწოლი, 2. სამთო-მადნო—15, 3. მელითონეებს—340. 4. ქიმიკოსებს—75, 5. გემო-კვების მუშაკთ—300, 6. ხეზე მომუშავეთ—50, 7. ამშენებელთ—70. 8. ფეიქართ—50, 9. მკერავთ—55, 10. მეტყავეთ—100, 11. მბეჭდავთ—300, 12. ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთ—75, 13. სახალხო კავშირის მუშაკებს—110, 14. კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირს—50, 15. სახალხო კვების—50, 16. მედსანშრომის—160, 17. საბჭოთა მუშაკების—350, 18. განათლების მუშაკთ—450, 19. ხელოვნების მუშაკთ—75.

პროვინციის პროფორგანიზაციებს:

1. ქუთაისის მაზრას—150 ადგილი, 2. აჭარისტანს—360, 3. ჭიათურის მაზრას—175, 4. აფხაზეთს—20, 5. სიღნაღის მაზრას—15, 6. ზუგდიდის მაზრას—20, 7. სენაკის მაზრას—50, 8. გორის მაზრას—30, 9. ფოთის საქალაქო პროფბიუროს—100, 10. ოზურგეთის მაზრას—30, 11. ახალციხის მაზრას—20, 12. თელავის მაზრას—30, 13. ბორჯომის საქალაქო პროფბიუროს—30, 14. ტყიბულს—40, 15. ბორჩალოს მაზრას—30, 16. დუშეთის მაზრას—15, 17. სამხრეთ ოსეთს—20 და 18. ახალქალაქის მაზრას—10.

გაგზავნის წესი

ამასთანავე პროფკავშირთა საბჭომ საჭიროდ სცნო გადიდებული იქნეს ადგილების რაოდენობა დასასვენებელ სახლებში რკინისგზელთათვის.

ავადმყოფი მუშა-მოსამსახურენი კურორტებზე გაიგზავნებიან ექვსი კვირის ვადით.

თბილისში და პროვინციაში, გარდა საექიმო კომისიისა, გამოყოფილი იქნება ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთა შემრჩევი კომისია პროფკავშირის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოს და სოციალური დაზღვევის სალაროს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ამასთან ერთად ყველა პროფკავშირებს წინადადება ეძლევა თავისი წევრები—სტიპენდიანტი სტუდენტები—მუშფაკელები გაგზავნონ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში საერთო წესით, ისე როგორც თავისი წევრები.

ეკონომიური ცხოვრება

საქ. უმაღლეს ეკ. საბჭოში

ხილის გასაღების საქმის მოსაწყობათ.

უმ. ეკ. საბჭომ ამხ. ს. ჯუღელს დაავალა დაჩქარებით გამონახოს 60.000 მან. „წითელი ქართლის“ მიერ დაგროვილ ხილეულობის გასაღების საქმის მოსაგვარებლად. ამასთანავე „წითელ ქართლს“ წინადადება მიეცა შევიდეს ცეკავშირის სისტემაში.

საძოვრების საკითხის მოგვარება.

უმ. ეკ. საბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ა.-კ. უმ. ეკ. საბჭოს წინაშე, რათა საქ. მიწად-მოქ. სახ. კომისარიატს მისცეს სესხათ 32,798 მან. 15 კ. საძოვრების საკითხის მოწესრიგების საჭიროებისათვის.

კურორტთა სამმართველოს

საბჭომ წინადადება მისცა პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ გამოარკვიოს, თუ რამდენი ბინა დარჩება კერძო მოაგარაკეთათვის და ამის შემდეგ გამომუშავებული იქნას საბინაო გადასახადი აგარაკებზე.

სატყეო ტრესტის ლიკვიდაცია.

საბჭომ დაამტკიცა სატყეო ტრესტის სალიკვიდაციო საუწყებათაშორისო კომისია 5 პირის შემადგენლობით.

გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭომ უარყო კურორტთა მთ. სამმართველოს შუამდგომლობა იმ საძოვრების გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც არიან კურორტების ფარგლებში.

საჯარო ვაჭრობა.

საბჭომ დაამტკიცა იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი სახელმწიფო იჯარების საჯარო ვაჭრობის წესით გაცემის შესახებ.

ამიერ-კავკასია უზრუნველყოფილია შაქრით

ჩვენს თანამშრომელს შაქრის ტრესტში აცნობეს შემდეგი:

— მარტის ბოლო რიცხვებში თბილისში მიღებული იქნა 150.000 ფუთი საიმპორტო ფხვნილი შაქარი, რომელიც ეხლა ნაწილდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებსა და თურქესტანს შორის. შაქრის ასეთი დაგვიანებული განაწილება აიხსნება შაქრის გადაგზავნის შეჩერებით, რადგან ამ ხნის განმავლობაში ნავთსადგურებში სწარმოებდა საიპორტო ფქვილის გადმოტვირთვა და რკინისგზის მთელი მოძრავი შემადგენლობა გამოყენებული იყო ამ მიზნისთვის.

სოხუმში გადმოტვირთულია 7 ვაგონი ფხვნილი შაქარი. თურქესტანში და აზერბეიჯანში გასაგზავნ შაქრის დატვირთვა დაიწყება 11 მაისს. ფხვნილი შაქრის გაგზავნა საქართველოში და სომხეთში უკვე დაწყებულია.

შაქრის ამ რაოდენობის გარდა ახლო ხანში მიღებული იქნება აგრეთვე 150.000 ფუთი შაქარი. „დობროფლოტის“ ცნობებით, შაქრით დატვირთული გემი აპრილის პირველ რიცხვებში იყო ტრიესტში და ამ დღეებში მოვა ბათომში.

იმის გამო, რომ ამიერ-კავკასია შაქრით უზრუნველყოფილია საშუალოთ ოთხი თვით,—შაქრის ტრესტის თბილისის კანტორა მოლაპარაკებას აწარმოებს „დობროფლოტთან“ და საზოგადოება „ტრანსპორტთან“, რომ ის შაქარი, რომელიც მიღებული იქნება მორიგი გემით, გადაგზავნილი იქნეს საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში.

შაქრის მიღების შეწყვეტა საშემოდგომო სეზონში მოსალოდნელი არ არის, რადგან ქარხნებში მრავლათ არის დამზადებული როგორც ნატეხი, ისე ფხვნილი შაქარი.

საბჭოთა სასამართლო

მკვლელების გასამართლება

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. შომახიას თავმჯდომარეობით გაარჩია სულტანიანცის და მხიტარიანცის საქმე. აღნიშნულ პირებს ბრალად ედებათ სისხლის სამართლის კოდექსის 14 და 146 მუხლებში გათვალისწინებული დანაშაული—წინასწარ მოფიქრებით, ჩასაფრებით კაცის მოკვლა.

სულტანიანცი და მხიტარიანცი გადაემტერენ სავაჭრო საქმეების გამო ვაჭარს ვინმე ვენეციანს. მათ განიზრახეს ვენეციანის მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გასული წლის 18 სექტემბერს ისინი ჩასაფრდენ იარაღებით კოჯორის მახლობლად, სადაც უნდა გამოევლო ვენეციანს. ბოროტგამზრახველებმა ვენეციანი სასიკვდილოდ დასჭრეს 7 ადგილს და გაიქცენ, რამოდენიმე ხნის შემდეგ ბოროტგამზრახველები შეპყრობილი იქნენ თბილისში სისხლის სამართლის მილიციის მიერ.

სასამართლო კვლევა-ძიებით ბრალდებულებს დაუმტკიცდათ ბრალდება და მისაჯა თვითეულს ათ-ათი წლით გამასწორებელ სახლში მოთავსება სასტიკი იზოლიაციით.

ამნისტიის ძალით მსჯავრდადებულთ სასჯელის მოხდის ვადა გაუნახევრდათ. დარჩა თვითეულს ხუთ-ხუთი წლით დაპატიმრება იმავე წესით და მოქალაქეობრივ უფლებების წართმევა ამავე ვადით.

მუშათა ცხოვრება

სიტყვა საქმედ იქცევა

(ქართულ სტამბის გახსნის გამო)

მრავალი მაგალითები ვიცით სიტყვის საქმედ ქცევისა ჩვენი ხელისუფლების მიერ და მათი აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მე შევჩერდები მხოლოდ ქართულ სტამბის გახსნაზე თბილისში.

რამოდენიმე თვის წინად გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში მუშკორთა ერთერთ კრებაზე ჩვენმა რედაქტორმა გააკეთა მოხსენება ქართულ სტამბის გახსნის შესახებ, რომელშიაც თავს მოიყრიან თბილისის ყველა ქართული გაზეთები და ჟურნალები.

სხვათა შორის მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ამხანაგები გაემგზავრებიან გერმანიაში ამწყობ მანქანებისა და „როტაციონკების“ დასაკვეთადო.

ითქვა და აღსრულდა კიდეც.

დაკვეთილი მანქანები უკვე მოსულია ბათომში და ნაწილიც გზაშია თურმე.

ამგვარად ის დიდმნიშვნელოვანი საქმე, როგორიც არის ქართული სტამბის გახსნა თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით, ხორცს ისხამს და ერთხელ კიდევ ვდგებით ფაქტის წინაშე სიტყვის საქმედ ქცევისა.

დღემდე თუ ქართული რედაქციები გაჭირვებით ჰბეჭდავდნენ ათი და ოცი ათას გაზეთს, დღიდან სტამბის გახსნისა შეძლება ექნებათ თავისუფლად ჰბეჭდონ გაცილებით მეტი გაზეთები.

ამავე დროს უნდა გავიხსენოთ, რომ მარტო მანქანების შეძენა არ კმარა რიგიანი სტამბის მოსაწყობად, მასთან ერთად საჭიროა შესაფერი შენობა, სადაც მჭიდრად და მოხერხებულად დალაგდება ყველა მანქანები და დარჩება ხელუხლებელი მრავალი წლების განმავლობაში.

ამასთან ერთად სტამბას თავიდანვე უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელად საქმის კარგად მცოდნე კაცი, წარმოების ერთგული მუშაკი და, ეჭვი არ არის, ასეთი ხელმძღვანელის წყალობით სტამბა კარგად მოეწყობა და წარმოების საქმეც კარგად წავა.

ასოთ-ამწყობი ნიკო ასლამაზაშვილი.

მადლობა ასეთ მასწავლებელს.

ცეკავშირის საბუხჰალტრო კურსებზე სწავლა სისტემატიურად მიმდინარეობს. მეტად ყურადღების ღირსია მასწავლებელი გიგინეიშვილი, რომელიც ენერგიულად, გარკვევითი ახსნა-განმარტებით გადასცემს მსმენელთ თავის საგანს. დიდ მადლობას უძღვნით ასეთ მასწავლებელს.

სამწუხაროდ უსინათლობა აფერხებს მეცადინეობას, რასაც საჭიროა სკოლის გამგემ ყურადღება მიაქციოს.

ინფ. ლალი.

რკ. გზის მუშათა ფაკულტეტი

რკ. გზ. მუშფაკში გამგის და თვით მასწავლებელთა უნარის და დაუღალავი შრომით სწავლა-მეცადინეობა ძალიან კარგად მიმდინარეობს. სუსტ მსმენელთათვის კვირაობითაც არის მეცადინეობა. ასეთი მუშაკები მადლობის ღირსნი არიან.

მსმენელი ლესი.

გამოასწორეთ ეს საქმე

(რკინ. გზ. მთავარ სახელოსნ. ადგილკომის საყურადღებოდ)

ეს ერთი-ორი კვირა იქნება, რაც მთავარ-სახელოსნოებში გახსნეს ახალი დიდი და კარგი აბანო, სადაც ერთდროულად შეუძლიან იბანაოს 50 კაცმა. ეს აბანო არის კარგი კიდევ იმითაც, რომ აქ შეუძლიათ ისარგებლონ ლენინის უბანში მცხოვრებ ყველა მუშა-მოსამსახურეების ცოლშვილმაც. სამწუხაროდ, ამ აბანოს აქვს დიდი ნაკლიც. აბანოს აქვს ერთი წყლის ბაკი, სადაც მიდის ორთქლი და აცხელებს წყალს; ცხელი წყალით კი სარგებლობენ მობანავეები. მაგრამ აქ სავალალო ის არის, რომ ბაკი ვერ ასწრებს წყლის გაცხელებას და მობანავეთ უხდებათ ან ცივი წყლით ბანაობა, ან და შუა ბანაობაში თავის დანებება და სხვა პატარა აბანოში წასვლა და სხვა. აქ კიდევ აღსანიშნავი ის არის, რომ საბანაოში არ არის არც დასაჯდომი და არც დასაწოლი მაგიდები, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მობანავეს.

ადგილკომო, თუ ამ ნაკლს გამოასწორებინებ, ჩვენი აბანო შეიქნება დაუფასებელი.

მუშა ხიონელი.

საშვებულებო ფულის მოცემას გვიგვიანებენ.

(შრომის კომისარიატის საყურადღებოდ)

უკვე მოახლოვდა დრო შვებულებებისა და ჩვენი მუშები და მოსამსახურეები უკვე მიდიან შვებულებებში დასასვენებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი დიდი ნაკლი მოსდევს ჩვენ შვებულებებს: მაგ. როდესაც მუშა მიდის შვებულებაში ხშირად არ აძლევენ წინდაწინ, თავის დროზე, შვებულების ფულს. მუშა იძულებული ხდება შვებულების მიღების შემდეგ უცადოს ხელფასის მიღებას, რაშიც მას ეკარგება 3—4 დღე.

ეს მოვლენა ყოვლად დაუშვებელია.

საჭიროა შრომის კომისარიატმა და წარმოების ადგილკომებმა მიაქციონ ყურადღება ამ მოვლენას და მომავალში მაინც არ დაუშვან იგი.

მუშკორი ი. ჯ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში

ორმაგი ხელფასი.

კომისართა საბჭომ დაადგინა მიმდინარე საანგარიშო წლის მეორე ნახევრიდან ზემო-სვანეთში მომუშავე განათლების მუშაკებს მიეცეს ორმაგი ჯამაგირი.

აფხაზეთის კომისართა საბჭოს

ნება მიეცა აფხაზეთის 5 მაზრაში გახსნას სამოქალაქო აქტების ჩამწერი განყოფილებები.

ბორჯომის ქარხანა.

კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ჯანსახკომს, საკურორტო მთავარ სამმართველოს განკარგულებაში მყოფი ბორჯომის წიფლის სტკეჩე ქარხანა გადასცეს საქ. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს.

დახმარება წითელ-არმიელთა ოჯახებს.

იუსტიციის სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა ქართულ ენაზე გამოსცეს კანონთა კრებული წითელ-არმიელთა და მათ ოჯახებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ.

— შესდგა კომისია ამხ. ამხ. მათიკაშვილის, კუჭაიძის, ღლონტის და ვ. ხუტულაშვილის შემადგენლობით წითელარმიელთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით საჭირო თანხის გამოსანახათ.

კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს

მისი სამუსიკო ასპარეზზე 30 წ. მოღვაწეობის შესრულების გამო კომისართა საბჭომ მიანიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.

ქრონიკა

— **დახმარების გადიდება.** დამზღვევ კასამ დაადგინა 1 მაისიდან გაადიდოს დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთათვის დამატებითი (რძის, მშობიარობის, დასაფლავების და სხვა) დახმარების, პენსიების და უმუშევართა დახმარების განაკვეთები.

— **დამზღვევ კასამ** საანგარიშო წლის პირველ ნახევარში ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეებს მისცა 144,427 მოცდენილ დღეების ხელფასი ავადმყოფობის გამო.

— **დახმარება ქვრივ-ობლებს.** ამჟამად დამზღვევი კასა დახმარებას აძლევს 326 ქვრივს და ობოლს.

— **ჯანსახკომმა** გერმანიიდან მიიღო დიდძალი სამედიცინო წიგნები.

— **რენტგენოლოგების** საკავშირო ყრილობაზე, რომელიც გაიხსნება 20 მაისს ლენინგრადში, საქართველოდან მიემგზავრება პროფ. ღამბარაშვილი.

— **მანგლისის აგარაკი.** ამ დღეებში მანგლისში მიემგზავრება საუწყებათაშორისო კომისია მანგლისის აგარაკის სამთო-სანიტარულ საზღვრის გამოსაკვლევად.

— **ტყის დამუშავება.** ახმეტას რაიონის (თელავის მაზრა) ტყეების გამოსაკვლევად მათი დამუშავების მიზნით მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილება რკინისგზასთან და სატყეო მრეწველობის ტრესტთან შეთანხმებით გზავნის სპეციალისტებისაგან შემდგარ კომისიას.

— ა/კ. ფინ. სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო მთავრობის წინაშე, რათა მან საქართველოში საბინაო აღმშენებლობისათვის გადასდოს 550,000 მ.

— **მეფუტკრეობის ბიურომ** დაადგინა 4 მაისიდან გორში გაიხსნას მეფუტკრეობის მოკლე-ვადიანი კურსები.

— **სპეცტანისამოსი.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით სამსახურიდან დათხოვნის ან თავის ნებით წასვლის დროს მუშა-მოსამსახურე-ვალდებულია წარმოებას ჩააბაროს სპეც-ტანისამოსი.

— **საზოგადო სამუშაოები.** თბ. შრომის ბირჟამ სხვადასხვა არქივებში სამუშაოდ გაგზავნა 36 უმუშევარი.

— **ტერიტორიალურ ნაწილების** უფ. და პოლიტშემადგენლობის გადასამზადებლად თბილისსა, ქუთაისსა და გორში 10 მაისიდან იხსნება გადასამზადებელი კურსები.

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 10 მაისს, დღის 12 საათზე, თბილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხულ იქნება ინჟ. ვ. კაკაბაძის მოხსენება შემდეგ თემაზე: „საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები“.

ხელოვნება

საოპერო სეზონის შედეგები

დიდი ხნის რყევის შემდეგ გადაწყვეტილი იქნა, რომ ოპერა თბილისში უნდა არსებობდეს. თუმცა დაგვიანებით, მაგრამ სეზონი მაინც გაიხსნა წარსულ შემოდგომაზე.

შარშანდელი საოპერო სეზონის საუკეთესო ძალებს (პოპოვა-ევროპიული მასშტაბის კოლორატურული სოპრანო, მოსინი—დრამატიული ტენორი, ისეცკი—ბასი, დემიანენკო—დამახასიათებელი პარტიები) მიემატა ახალი მუსიკალური ძალები, რომელთაგან მთელი სეზონის განმავლობაში დიდ სიმპატიებით სარგებლობდენ ბოგოლეპოვა (ლირიულ-დრამატიული სოპრანო) და კულაგინი (ლირიული ტენორი); ორივე ისინი მოწვეული იყვენ ლენინგრადის სახელმწიფო ოპერის შემადგენლობიდან.

შემდეგ მეცცო-სოპრანო—ბაბკინა, დრამატიული სოპრანო—სედენკო, ბარიტონი—ალექსაშინი და ბანი—შარაშიძე. მკრთალათ იყო წარმოდგენილი საოპერო დასის შემადგენლობის ის ნაწილი, რომელშიაც შედიოდენ ლირიულ-დრამატიული ტენორის, ლირიული სოპრანოს, ლირიული ბარიტონის და მეცცო-სოპრანოს პარტიების შემსრულებლები.

საოპერო დასს ავსებდენ ახალგაზრდა მომღერლები ექსანიშვილი, გაბაშიძე, მაზოვეცკაია და თუმანიშვილი. პირველ რიგებში მოექცა ნიჭიერი ვენაძე.

უკვე სეზონის დასაწყისშივე დასის შემადგენლობაში გაჩნდა ცარიელი ადგილი—გარდაიცვალა საყვარელი და ნიჭიერი ვანო სარაჯიშვილი. დასის შესავსებათ მოწვეული იყო ახალგაზრდა მომღერალი ქუმსიაშვილი, რომელმაც მიმდინარე წელში დაამთავრა კონსერვატორიის კურსი პროფ. რიადნოვის კლასში.

რასაკვირველია, მომღერალს არ შეეძლო ვანო სარაჯიშვილის შეცვლა, რადგან ის სრულიად განსაკუთრებული ნიჭი იყო, მაგრამ ახალგაზრდა მომღერალი წარმატებით ასრულებდა ტენორის პარტიებს ქართულ ოპერებში, განსაკუთრებით „დაისში“.

ოპერის შემადგენლობიდან გავიდენ ბარიტონები ელიოზიშვილი და თარხან-მოურავი; სამწუხაროთ იყო მათი წასვლა, რადგან ორივეს ლამაზი ხმა და მუსიკალობა აქვთ.

ორკესტრს მეთაურობდენ გამოცდილი და ნიჭიერი კაპელმეისტრები—ვანო ფალიაშვილი და სტოლერმანი; დროგამოშვებით დირიჟორის ადგილს იკავებდენ მეტათ მუსიკალური და გამოცდილი დირიჟორი შეინი და ნიჭიერი მელიქ-ფაშაევი. ბალეტში ორკესტრს მეთაურობდა მიხეილ ნეიმანი.

გუნდი ვოკალურის მხრივ კარგია, მაგრამ სამწუხაროთ წინ ვერ მიიწევს დრამატიულის მხრივ; ის წინანდებურათ მანეკენებს მოგვაგონებს.

შესამჩნევათ წინ წაიწია ბალეტმა სერგეევის მეთაურობით, რომელმაც გამოიჩინა დიდი შრომის უნარიანობა და მისწრაფება მხატვრულ შესრულებისაკენ. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მთელმა რიგმა საბალეტო დადგმებმა, მაგალითად, კარნავალი, ვალპურგიის ღამე, ქურდი და სხვა.

საბალეტო შემსრულებლებიდან აღსანიშნავი არიან პრიმა-ბალერინა ფეოდოროვა და ლეონოვა, მოცეკვავეები—თამარა ჭაბუკიანი, და კაზინეცი; მამაკაცებიდან—სერგეევი, ბარბუდაროვი და გოლუბლოვი. ნიჭიერი არიან აგრეთვე რატუშენკო და დიმიტრიევი.

საბალეტო წარმოდგენებს ნაკლი—არა საკმარისი დისციპლინა და თვისებური გამოსვლები (დიმიტრიევი). ეს კატეგორიულათ უნდა მოისპოს საქმის სარგებლობისათვის.

მეტათ სუსტი იყო სარეჟისორო ნაწილი, მაგრამ სამაგიეროთ კარგი იყო დადგმების წმინდა ტეხნიკური ნაწილი, განსაკუთრებით სინათლის ეფექტების გამოყენება. საჭიროა ზოგიერთი ოპერების დეკორაციების განახლება.

როგორც აკადემიურმა თეატრმა, სახელმწიფო ოპერამ უნდა იზრუნოს რეპერტუარის მრავალფეროვნებაზე. ამ მხრივ იყო დეფექტები. დაპირებულ დადგმებიდან განახლებული იქნა მხოლოდ მეიერბერის „წინასწარმეტყველი“, ისიც ორი დადგმის შემდეგ მოხსნილი იქნა რეპერტუარიდან. საერთოდ საჭირო იყო კი ამ ყველაზე უფრო მოძველებული ოპერის განახლება?

საჭიროა რეპერტუარის განახლება. რასაკვირველია, აუცილებელია ნაციონალური ოპერების ფართოთ განვითარება, მაგრამ მათი ნაკლებობის გამო საჭიროა დაიდგას ევროპიული და რუსული ოპერები. ასე, მაგალითად, სასურველია შემდეგი ოპერების განახლება: ჩაიკოვსკი—„ოპრიჩნიკი“, „ჩაროდეიკა“ და „მაზეპა“, რუბინშტეინი—„ნერონი“, პონკიელი—„ჯიოკონდა“, დალბერტი—„ველზე“, ჯორდანო—„ანდრე შენიე“, საჭიროა აგრეთვე უფრო ხშირათ იქნეს დადგმული დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომელიც რატომღაც სულ მოხსნეს რეპერტუარიდან.

სასურველია განახლებული იქნეს რიმსკი-კორსაკოვის და ვაგნერის ოპერები („ტანჰეიზერი“, „ტრისტან და იზოლდა“).

სახელმწიფო ოპერას თავის განკარგულებაში ჰყავდა სიმფონიური მუსიკის კარგი მცოდნე სტოლერმანი, ამიტომ მას შეეძლო მოეწყო თვეში ორჯერ-სამჯერ სიმფონიური კონცერტები. გასტროლების სისტემამ რომელიც დროზე იქნა გამოყენებული (სეზონის ბოლოს), ხალისი შემატა სეზონს.

პ. ბ.

—

— **თბ. ყველა სახელმწიფო სახალხო სამუსიკო** სასწავლებლის მოწაფეთა საერთო კრება შესდგება 10 მაისს მე-2 სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში. რესპუბლიკაში სამუსიკო განათლების შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ი. გედევანიშვილი.

— **ეგონ პეტრის კონცერტი.** სახელმწიფო ოპერაში ამ დღეებში გაიმართება ეგონ პეტრის ორი კონცერტი.

— **ფ. გრანელის საღამო** გაიმართება 10 მაისს „ტარტ“-ში.

დღეს კინოებში

— აპოლო—„პაპიროსების გამყიდველი ქალი მოსელპრომიდან“.
— არფასტო—„მესსალინა“.
— სოლეი—„მესსალინა“.
— მინიონ—„რაფეს ასული“.
— ოაზის—„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“.
— აისი—ახალი პროგრამა.

შემთხვევები

— **უეცარი სიკვდილი.** 6 მაისს, ამაღლების ქ. № 9 თავის ბინაზე უეცრათ გარდაიცვალა მე-3 უბნის სახალხო მოსამართლე გიორგი მენაბდე.

— **სავაჭროს გაქურდვა.** 5 მაისს, პლეხანოვის პრ. № 127 გაქურდეს სიმონ ხიროუნელის სავაჭრო. წაიღეს 285 მან. ნივთები.

— **სასტუმრო „ნოე“-ში** 6 მაისს გაქურდეს მიხეილ იონიტკინის ოთახი № 72.

— ამავე დღეს გრიბოედოვის ქ. № 19, მარიამ კბილაძის ბინიდან მოიპარეს 130 მ. ნივთები.

— 5 მაისს ღამით კამოს ქ. № 34 გაქურდეს ეკატერინე აბრამიძის ბინა. წაიღეს 78 მ. ნივთები.

პროვინციაში

გლეხკორის დევნა

ფრთხილად კილასონიებო!

ნოსირის თემი (სენაკის მაზრა)

ა. წ. 14 იანვარს იაკობ კილასონიას მოქმედების შესახებ (ეს მოქმედება გამოიხატებოდა გლეხების გლეხ-ქალების და მათი ბავშვების ცემა-ტყეპაში) დაიბეჭდა გაზეთ „წითელ ვარსკვლავში“ გლეხკორ ოხრომეთელის წერილი სათაურით დაიფარეთ გლეხები ცემისაგან, „ახალ სოფელში“ № 10 ობოლი გლეხის წერილი სათაურით: დააბით, გადარეულია, და ამავე გაზეთის № 12 ნოსირელის წერილი „გადარეული უკვე დაბმულია“.

სანამდი ორ უკანასკნელ გაზეთში გამოქვეყნდებოდა ცნობა ი. კილასონიას საგმირო საქმის შესახებ, მანამ სენაკის მაზრამსკომის განკარგულებით გამოძიებულ იქნა ხსენებული საქმე და ყველა ცნობები დადასტურდა.

ერთმა გლეხმა, იაკობ კილასონიას მიერ მოქმედებით შეურაცხყოფილმა, უჩივლა მას სენაკის სახალხო მოსამართლესთან და საქმე უნდა 31 მარტს გაერჩიათ. სასამართლოს წინაშე იაკობ კილასონიამ დანაშაულობა აღიარა. მოსამართლემ წინადადება მისცა მომჩივანს ეპატიებია იაკობ კილასონიასათვის დანაშაული. მომავალში ყოველივე შეურაცხყოფის ასაცილებლად მოსამართლესთან დადებულ ხელწერილით დაკმაყოფილებული იყო. შეურაცხყოფილი გლეხი მოსამართლის ამ წინადადებაზე დასთანხმდა.

თუმცა გლეხკორი ნოსირელი „ახალ სოფელში“ № 12 სწერდა იაკობ კილასონიაზე „გადარეული უკვე დაბმულია“-ო, მაგრამ სამწუხაროდ ბატონი იაკობი დაბმული არ აღმოჩნდა. ხსენებული „გმირი“ შეუდგა გლეხკორების ძებნას და ნიშანში ამოიღო ძმები პლ. და მიხ. კილასონიები. მრავალ ჭორებით და ჭორიკანობით რომ ვერაფერი გააწყო, იაკობ კილასონიამ აისხა იარაღი და 19 აპრილს მიდის ძმები კილასონიებისას, უტრიალებს ათვალწუნებულთა ეზოს, მაგრამ ვერაფერი მოახერხა და ვერ იშოვა საბაბი განზრახვის ასასრულებლად. შემდეგ შედის ძმების კილასონიების პირდაპირ მოსახლისას, მისმა შესვლამ თავზარი დასცა იქ მყოფთ. დიასახლისს ეუბნება, „ჩემი ნახვას გველის ნახვა გირჩევნია, მაგრამ მაინც მოვდივარო“. ბატონ იაკობს იმ სახლში დაუხვდა მოხუცებული დედა და ძმები პლ. და მიხ. კილასონიების.

მოხუცებულ ქალს მიმართა მუქარით: „შენმა შვილებმა მე გაზეთში გამწერეს, მაგრამ გამობრძანდენ თუ კარგი ბიჭებია კენწლაობაში (დუელში), მე ვაჩვენებ მათ სეირსო. უნდოდათ ეს ლევორველი (იდებს რევოლვერზე ხელს) და ვინტოვკა ჩამოერთმევიათ, მაგრამ ვერ მივართვი“. და სხვა. „სულ ერთია, მე მაინც ჩემ ლოგინში არ მოვკვდებიო“...

იაკობ კილასონიას რომელი—სამი და ოთხი ბნელი საქმე და ძალმომრეობა უნდა ჩამოთვალოს გლეხკორმა, რომ სათანადო ყურადღება მიექცეს მას ვისგანაც ჯერ არს.

გაზეთების ფურცლებზე საკმაოთ იყო გაშუქებული იაკობ კილასონიას საგმირო საქმენი, მაგრამ ის მაინც თავისუფლად დათარეშობს შეიარაღებული. ალბათ მანამდი ითარეშებს, სანამ გლეხებს და გლეხკორებს გლეხკორ მალინოვსკის და სხვათა ბედი არ ეწევა იაკობ კილასონიასგან და ძმათა მათგან..

გლეხკორი კუდიანი.

წითელი სასადილო თავის სიმაღლეზე ვერ სდგას

ლაგოდეხი (სიღნაღის მაზრა)

დაბა ლაგოდეხში წარმოკავშირს აქვს წითელი სასადილო, სადაც, შეიძლება ითქვას, სასადილოს ნახევარი მხარე უჭირავს ისეთ ძვირფას სასმელების კუთხეს, როგორიც არის ლიქიორი, კონიაკი და სხვა.

საკითხავია, რა საჭიროა სოფლისთვის ამდენი უცხო, მაგარი სასმელები, რომლის დამლევი მშრომელი გლეხკაცობა არასოდეს არ არის?

უფრო უმჯობესი იქნებოდა, თუ სასადილოს გამგე სასადილოს სანიტარული მხარის გაუმჯობესებას მიაქცევდა ჯეროვან ყურადღებას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ სასადილოში მუშებს უხდებათ საქმიანობა თექვსმეტი საათის განმავლობაში, რისთვისაც ისინი ზედმეტ ჯილდოს არ ღებულობენ.

საჭიროა მუშების ამგვარ ექსპლოატაციას მიაქციოს ყურადღება შრომის კომისარიატმა.

მუშკორი მ. უნგიაძე.

თელავი

კახეთის საკრ. ამხანაგობათა თათბირი

წვრილი კრედიტი თანდათან ფეხს იკიდებს თელავის მაზრაში. უკვე არსებობს 9 საკრედიტო ამხანაგობა. ზოგი რაიონი სადაც არ არის, თხოულობს ამხანაგობის გახსნას. გლეხკაცობა სრული ნდობით უყურებს ასეთ ამხანაგობებს და სამართლიანად დიდ იმედებს ამყარებს მასზე.

2 მაისს თელავში შესდგა მაზრის საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების თათბირი. დაესწრო 9 ამხ-ბის წარმომადგენელი და საქ. სასოფლო-სამ. ბანკის ინსპექტორები დ. ჩხეიძე და გ. ხატისკაცი.

თათბირმა მეტად საქმიანი სახე მიიღო და გადასწყვიტა მნიშვნელოვანი საკითხები.

ზოგიერთი თელავის მაზრის ამხანაგობები იმყოფებიან სიღნაღის რაიონის მოქმედების ფარგალში, რაც დიდ უხერხულობასა ჰქმნის. ამისათვის გადაწყდა ასეთ საკრ. ამხ-ბის გამოყოფა და პირდაპირ ცენტრისათვის დაკავშირება.

საქმის გასაადვილებლად და ზედმეტ ხარჯების თავიდან ასაცდენათ თათბირმა მიზანშეწონილად სცნო, რომ სამეურნეო იარაღები და ვაზის შესაწამლი მასალა ნაწილდებოდეს თელავის საკრ. ამხანაგობის საშუალებით.

სოფლის ამხ-ბების წარმომადგენელთ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციეს შაბიამან-გოგირდს, სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნებს და სამეურნეო იარაღებს. თელავის ამხანაგობამ უკვე მიიღო სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან მთელი მაზრისათვის 7,380 ფ. შაბიამანი და 2,985 ფ. გოგირდი. ეს საქონელი ამავე თათბირზე განაწილდა ამხანაგობებს შორის. შესაწამლი მასალა მიეცემათ გლეხებს სესხის სახით შემოდგომამდე. შაბიამანი ფუთი 6 მანეთად, ხოლო გოგირდი 2 მ. 85 კაპ.

რაც შეეხება სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნებს, დიდად არიან დაინტერესებულნი სოფლელნი და სურთ მისი შეძენა. თბილისიდან გადმოგზავნილია ჯერჯერობით 2000 ცალი, გამოწერილია კიდევ 5000 ცალი. ჯერ ეს 2 ათასი ცალი განაწილდა ამხანაგობათა შორის.

შუშხუნების მიღება ცოტა დაგვიანდა, სასურველი იყო წინ და წინვე გამოეგზავნათ, რომ ეხლა ადგილებზე ყოფილიყო საჭიროების დროს გამოსაყენებლათ.

თითო შუშხუნა ღირს 1 მ. 50 კაპ., დაარიგებს თელ. საკრ. ამხანაგობა და 15 მაისამდე თუ სოფლის ამხანაგობებმა არ წაიღეს, შემდეგ ვინც ფულს წარადგენს, იმას მიეცემა.

ყოფ. საკრ. ამხ-ბათა აქტივების განაღდების შესახებ თათბირმა დაადგინა ეთხოვოს მთავრობას მისი განხორციელება, რითაც ახალ ამხანაგობებს გაუადვილდებათ მომავლისათვის სოფლად მუშაობა.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა სოფლის ნაწარმოებთა დაფილება (გაუსაღებლობა), აგრეთვე კოოპერატივების პასივობა და ერთხმად საჭიროდ სცნო დაარსება თბილისში ან საქართველოს გარეშე ღვინის გამსაღებელი პუნქტის.

სასოფლო მეურნეობის განვითარების მიზნით თათბირმა საჭიროდ სცნო ეთხოვოს სამაზრო ცენტრს აგრონომების დაახლოვება საკრედიტო ამხანაგობებთან, სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნებისათვის პუნქტების მოწყობა და სხვა სამეურნეო ცოდნით დახმარება.

თათბირმა დაავალა თელ. ამხანაგობას, კახეთის საკრედიტო და მ. გ. ამხ-თა ყოფილ კავშირის შენობის დაბრუნების შესახებ აღძრას სათანადო შუამდგომლობა.

ბოლოს დამსწრეთ მოისმინეს სას. სამ. ბანკის ინსპექტორ დ. ჩხეიძის მოხსენება სამიზნო სესხის და ანაბარების ოპერაციების მეტი სიმტკიცის შესრულების შესახებ და ერთხმად მიიღეს მომხსენებლის დებულებები.

ვან—ლი.

პროვინციის ქრონიკა

— **სიღნაღის მაზრის ტყეების** ინსპექტორად დაინიშნა სწავლული მეტყევე პ. გიორგაძე.

— **ფოთის აღმასკომმა** შეაკეთა და აამაღლა რუსთაველის ქუჩა.

— **გზის შეკეთება.** სოფ. ტოლაში (რაჭა) გლეხებმა გადასწყვიტეს საერთო ძალით შეაკეთონ სამთო გზები.

— **სახერხი ქარხანა.** სოფ. ქოლობნის (სენ. მაზრა) გლეხკომებმა გადასწყვიტა გახსნას სახერხი ქარხანა.

— **ფოთის ელსადგურის** მუშაობის გაფართოების მიზნით, აღმასკომმა გადასწყვიტა გაადიდოს ელსადგურში მომუშავეთა შტატი.

— **ახალციხის მაზრის,** სოფ. ადიგენში გლეხებმა შეაკეთეს ყველა სასოფლო გზები.

ჩვენი ფოსტა

ამხ. გ. ნადარეიშვილს ვთხოვთ შემოიაროს რედაქციაში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 25.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა სამმართველო, ამასთანავე დართული დებულების თანახმად.

2. საქართველოს მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს დაევალება მიიღოს: 1) საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან სამელიორაციო განყოფილების ყველა საქმე და ფულადი სახსარი, 2) ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსაგან—საქართველოს წყალთა მეურნეობის ყველა საქმე და მასალა და აგრეთვე მთელი ქონება და ფულადი სალსარი, რაც გადადებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ფარგლებში მუშაობისათვის; ამიერ-კავკასიის წყალთა სამმართველოსაგან საქმეები, ქონება და ფულადი სალსარი მიღებულ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული განკარგულებით.

3. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამელიორაციო განყოფილება.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი ს. თოდრია.

1925 წლ. მაისის 6.
თბილისი-სასახლე.

—

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის.

1. წყალთა მეურნეობისა და სამელიორაციო მუშაობის მართვა-გამგებლობისათვის საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსდება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა სამმართველო.

2. მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს დაეკისრება:

ა) რესპუბლიკის წყალთა რესურსების შესწავლა.

ბ) გამოკვლევა არსებული სარწყავი არხებისა და წყლის სარგებლობის წესისა;

გ) რეგისტრაცია და მოწესრიგება წყლის სარგებლობისა;

დ) განაწილება თავისუფალი წყლისა;

ე) მეთვალყურეობა საირიგაციო ქსელისა და ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობისათვის;

ვ) გაუმჯობესება საინჟინერო და ადგილობრივი სისტემის სარწყავი არხებისა;

ზ) წარმოება ყოველნაირი სამელიორაციო მუშაობისა;

თ) განხილვა წყალთა სამელიორაციო ამხანაგობათა პროექტებისა და ხარჯთ-აღრიცხვებისა და მათ შესახებ დასკვნის მიცემა; ხსენებულ ამხანაგობათათვის ტეხნიკური დახმარების აღმოჩენა;

ი) მდინარეების ჰიდრავლიკურ ძალთა აღრიცხვა, ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა და საამისო სამუშაოს წარმოება;

კ) სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულების მიერ შედგენილ ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა პროექტების განხილვა წყლის რაციონალურ გამოყენებასთან შესათანხმებლად;

ლ) ფინანსიური და ტეხნიკური ინსტრუქტორობისა და კონტროლის გაწევა ყოველგვარ ჰიდრო-ტეხნიკურ და ჰიდრო-მელიორატიულ სამუშაოს შესრულებისათვის.

3. მელიორაციისა და წყალთა სამმართველო შესდგება ცენტრალურ სამმართველოსაგან და წყლის ოლქებისაგან, ოლქების რიცხვში შედის აფხაზეთი, აჭარა და სამხრეთ-ოსეთი.

4. მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს სათავეში სდგას საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული უფროსი.

5. მელიორაციისა და წყალთა სამმართველო მოქმედებს საქართველოს ეკონომიური საბჭოს საერთო მეთვალყურეობით; წარუდგენს მას დასამტკიცებლად წლის დასაწყისში თავისი მუშაობის წლიურ გეგმას და ხარჯთაღრიცხვას, ხოლო წლის ბოლოს—ანგარიშს თავისი მოქმედებისას.

6. მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს სამოქმედო გეგმა უნდა შეთანხმებულ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმასთან წყალთა მეურნეობის და მელიორაციის სფეროში.

7. რათა თავიდან აცილებულ იქნეს საფრთხე საინფექციო სნეულებათა გავრცელებისა: მუცლის სახადისა, დიზინტერიისა, ხოლერისა და განსაკუთრებით მალარიისა,—საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს სანიტარული ზედამხედველობა გაუწიოს საქართველოს მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს მუშაობას.

8. მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს აქვს საკუთარი ხარჯთაღრიცხვა და კრედიტები, რომლის გამგებლობაც ეკუთვნის სამმართველოს უფროსს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1925 წლ. მაისის 6.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

შაბათს, 9 მაისს, დილის 10 საათზე თ. კ. სამდივნოში მოწვეულია

თ. კ. პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

თ. კ. მდივანი ახრიბეკოვი.

— თ. კ. აღმრიცხ.-გამნაწ. განყოფ. წინადადებას აძლევს ამხ. დოგუნავას (ელმაშტრესტიდან), პოპოვს და კორნეევს, 8 მაისს, დილის 11 საათზე გამოცხადდენ ამხ. სააკოვთან.

— შაბათს, 9 მაისს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება კრება ა.-კ. უნივერსიტეტის, ცენტრალური პარტ-სკოლის, თბილისის პარტსკოლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტეხნიკუმის, მუშფაკების, პარტლექტორების და საერთოდ ყველა იმ პარტიულ ამხანაგების, რომლებიც ამ ჟამად ეწევიან ლექტორობას. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

— არსრაიკომი მობილიზაციის წესით იწვევს ქვემო-ამოთვლილ ამხანაგებს რაიონის აღწერისათვის საბარათო სისტემაზე გადასასვლელათ. ყველა ისინი უნდა გამოცხადდენ 8 მაისს, სწორეთ საღამოს 5 საათზე ორახელაშვილის სახელობის კომკავშირის კლუბში (მილიუტინისა და ანდრეევის კუთხე) რომ მიიღონ დირექტივები აღწერის ჩასატარებლათ. მობილიზაციაში გამოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:

ტრამვაის უჯ.—ადამიანი მარია, ბაბოიანი ანდრია, იშხანოვი სერგო, მილიციის უჯ.—არხიპანდ ლია, სტეფანოვი, მთავ. საავადმყ. უჯ.—რამანიხინი, არტსაწყობის უჯ.—სვინჩენკო, ჟუკოვ მიხეილ, მედტეხნიკ. უჯ.—არარატიან ამალია, ილიენკო, გერმან. ტეხ. უჯ.—ბოტეზადე მაჭუტაძე, პროლეტკულტის უჯ.—მაიჟუკიანც, „ომას“ უჯ.—არიშინი, ავტოპრომტორგის უჯ.—ხალიევი, აღმშენ. სანტეხის უჯ.—ოვნატანოვ ხარენ, პროლეტკულტის—რომანოვ ლეონიდ, საზ. კავშირის უჯ.—სუმბათოვ, მეოთხე პროფსკოლის უჯ.—ზოლოტოვი, მე-100-ე შრომის სკოლის უჯ.—გუნევ გურგენ, მირზოევ სერგო, ბარბარეჯ ლევონ, სევასტოვ ირაკლი, „ცენტროტრამოტას“ უჯ.—კორეიგო, 41 შრომის სკოლის უჯ.—გორონოვი, მუშკოოპის—ივანოვი, კინომრეწველ.— ბურჯანაძე ვლადიმერ, მეორე შრ. სკოლის—ნარსია მიხეილ, არსენალისა—რუხაძე ნიკ., ბუხიატოვა, აღმშენებლების—მოროზოვი, 1 ქიმ. ტეხნიკ.—მახარაძე,—მეორე შრ. სკოლის—მაჭავარიანი, ზოგეიშვილი, დუმბაძე.

მდივნის მაგიერ—ფილიპოვი.

განცხადებები

ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური და თბილისის კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებენ კავშირის მასას ძველ კომკავშირელის, აქტიურ მუშაკის ამხ.

ივტიხი ვაშალომიძის

გარდაცვალებას.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე თამარი, შვილები—თუთვა, თინა, შათუა და ნინა, დედა—როდამი, მამა—სპირიდონი, რძალი—გოგუცა და ძმა— ისიდორე თავისი შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს.

იპოლიტე სპირიდონისძე
ნადირაძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 10 მაისს, დღის 3 საათზე სოფ. ზოდში.

ნის. 1126—2—1

უღრმესად დამწუხრებული შვილები ბაგრატი და ოლღა წითლიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი ძვირფასი საყვარელი დედის

მატრონა ტოჩიას ასული
ლოლუა-წითლიძისა

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა პირველ მაისს 3 საათზე სოჩის პირველ სასაფლაოზე

№ 1.258—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მამა მურზაყან დედა გაიანე ჟორდანიას ასული, ძმა ვასო, დები პუტკუ და სონია ებრალიძეები, სიძე ესე დიმიტრის ძე ჰყონია მისი მეუღლე, ვისილა მურზაყანის ასული, დეიდას შვილი პელო ქარცივაძის ასული საბაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლებული მეოთხე კლასის მოწაფის

დათიკო მურზაყანისძე
ებრალიძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს, 9 მაისს 12 საათზე წმინდა გიორგის ეკლესიაზე

№ 1253—1—1

ელისაბედ ფარნაოზის ასული, გიორგი ფარნაოზის ძე მეუღლით ეფროსინე სერგოს ასული და სიმონ ფარნაოზის ძე მეუღლით—ზინაიდა ნიკოლოზის ასული და შვილით ირინე ნათიშვილისა ღრმა მწუხარებით აცნობებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 7 მაისს, ღამის 3 საათზე გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

ნინო დიმიტრის ასული
ნათიშვილისა

პანაშვიდი 8 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე ბინაზე, დაკრძალვა იმავე დღეს—ნაშუადღევის 5 საათზე ვერის სასაფლაოზე.

№ 1263—1—1

გულმოკლული: მამა სვიმონ (სერგო) გრიგოლისძე, დედა თებრონე დიმიტრის ასული, ძმები: ვალერიან, გიორგი, ბიძინა და მარგალიტა ქელბაქიანები, დეიდა ლუბა გეგელია, მამიდა დარიკო ჯაჯანიძისა, ბიძა ერმოლოზ დიმიტრისძე გეგელია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 6 მაისს საღ. 4 საათ. 5 წ. ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი პირველის ნუგეში შვილი, მეორესი ძმა-მეგობარი, სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი

გრიგოლი (გრიშა) სვიმონისძე
ქელბაქიანი

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათზე ვერა, წულუკიძის ქ. № 5 დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნ. № 1133—1—1

გამოიცა და იყიდება
ა. წ. ინწკირველის შედგენილი შენიშვნები
ანგარიშწარმოების შესახებ

წიგნში განხილულია რამოდენიმე პრაქტიკული კითხვა. ფასი ათი შაური

იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის
ბუხჰალტერიის ზოგადი კურსი

1260. 2—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 10 მაისს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა, გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1132. 1—1

---

10 მაისს მცირე თეატრი 10 მაისს

ტერენტი გრანელის
პოეზიის საღამო

1. სიტყვები.
2. პოეზია.
3. მუსიკა.

ნ. 1124 2—1

თქვენ დაინახავთ თავს ეკრანზე.
კვირას, მაისის 10-ს

სახკინმრეწვის კინო-ფაბრიკაში (პლეხანოვის პროსპ. № 158) მოხდება ამერიკული ცირკის-ჰიპოდრომის კინო-გადაღება სურათისათვის

„ვინ არის დამნაშავე“?

დადგმა რეჟ. წუწუნავასი.

მოქმედება ერთ და იმავე დროს სამ არენაზე.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ:

400 ცხენოსანი და 300 კინო-მსახიობი.

სახკინმრეწვი მოუწოდებს ყველა მსურველებს მონაწილეობა მიიღონ კინო-გადაღებაში.

შესვლა კინო-ქარხანაში თავისუფალია დილის 11 საათამდე. ვინაიდან მოქმედება სწარმოებს

— ამერიკაში —

მამაკაცებისთვის აუცილებლად საჭიროა ევროპიული კოსტიუმები, ქალებისათვის ჩვეულებრივი ევროპიული.

სახკინმრეწვი.

2—1 ნ. 1129.

ს. ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დადგენილებით

რომელიც დამტკიცებულია ა.-წ. 23 აპრილიდან ს. ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოს მიერ ა.-წ. 4 მაისიდან ხდება

ლიკვიდაცია სახელმწიფო სატყეო ტრესტის
„საქართველოს ტყე“-სი

ამავე რიცხვიდან შეუდგა მუშაობას ს. ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოს მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია.

ყველა დაწესებულებათ, ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზიები „საქართველოს ტყე“-თან, წინადადება ეძლევათ სამი კვირის ვადაში, დღიდან ამა განცხადების დაბეჭდვისა, წარმოუდგინონ ასეთი სალიკვიდაციო კომისიას.

პრეტენზიები, რომელნიც არ იქნება განცხადებული ამ ვადის განმავლობაში დაკმაყოფილებული არ იქნება.

სალიკვიდაციო კომისიის მისამართი: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. (ყოფილი სერგიევის) № 1 სატყეო ტრესტის სალიკვიდაციო კომისია.

სადეპეშო: თბილისი, საქარტყეს.

პირად მოსალაპარაკებლად კომისიის თავმჯდომარე ღებულობს: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 8—10 საათამდე. დანარჩენ დღეებში და საათებში ღებულობს კომისიის მდივანი.

ნის. 1128. 1—1 სალიკვიდაციო კომისია.

თელავის მთლიანი
მომხმარებელი საზოგადოება

ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოდ, რომ 10 მაისს მიმდინარე წლისა დანიშნულია

წლიური კრება

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება 1923 და 1924 წლის მოქმედებაზე.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება
3. განხილვა და დამტკიცება 1923 წ. და 1924 წ. ანგარიშების.
4. მოგების განაწილება
5. მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტის განხილვა
6. გამგეობის არჩევნები
7. სარევიზიო კომისიის არჩევა
8. საბჭოს რწმუნებულების არჩევა
9. მიმდინარე საკითხები.

2—2 932 გამგეობა.

კვირას, 10 მაისს, დილის 11 საათზე

თბილისის საარტილერიო საწყობში (არსენალის მთა) გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

გაზების საწინააღმდეგო ნიღაბების აუქციონით გასასყიდათ,—რომლებიც წარმოადგენენ ძველ ქაღალდს, რეზინს და სათვალეებს; აგრეთვე გაიყიდება გამოუსადეგარი ბორბლები, ეტლების უკანა ნაწილი, წყლის ასადუღებელი ბაკები, ყუმბარების ყუთები, რკინის ქილები სითხისათვის, სხვადასხვა მაზხალები, წვრილი კარდონი და სხვა. ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დღეს დილის 10—11 საათამდე.

შრომის და თავდაცვის საბჭოს ცენტრალური საფონდო კომისიის რწმუნებული კავკასიის წითელდროშოვან არმიის რაიონში.

ნ. 1197.

დაიკარგა საჭირო ქაღალდები, ქაღალდი სახლის ნასყიდობისა ერგემილიძის სახელობაზე, გეგმა სახლისა და ქაღალდი მემკვიდრეობის დამტკიცების. მპოვნელს დავასაჩუქრებ. მისამართი: მამადავითის ქუჩა ბასეინის შესახვევი № 3 ოლღა გ. ნასიძისა. 1—1 1249

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 1766 იასონ ბესარიონის ძე ყაჯრიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1254

დაიკარგა პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი ვენია სულაძის სახელზე; ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1248

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიხეილ გაბრიელის ძე და ესტერ ისრაელის ძე კეძერაშვილების სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1250

დაიკარგა სახელმწიფო დამზღვევ განყოფილებისაგან მიცემული ქვითარი № 142563, ბუაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1251

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი პაშა ჯაფარიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1256

დაიკარგა პასპორტი № 20531, ივანე გრიგორის-ძე ტორთოსოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის მოწ. და მეტრიკის მოწმობა ვლადიმერ კობერიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1259

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3031 და საადრესო ფურცელი მოცემული ზუგდიდის მაზრის აღმასკომის მიერ სამსონ დუტუს ძე ხუბაის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1261

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი და ვინაობის წიგნაკი № 416, მოცემული მესამე უბნის სამმართველოდან გასილ ნონიას ძე კირვალიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1253

დაიკარგა საწევრო წიგნაკი—პირადობის მოწმობა № 22. სიღარიბის მოწმობა მიხეილ იაკობის ძე გიგუაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1262

დაიკარგა კომკავშირის მანდატი № 13113, რ ემედასის წიგნაკი, საჰაერო ფლოტის წიგნაკი, მოწმობა რაჭის ტეხნიკუმისა ლუბა კაციტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1257

ტირაჟი—20.466

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საზა წულუკიძის ქ. № 4